# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 5 დეკემბერი 1995 № 80 (218) · ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «უტყვი მკვლელი»

## «ლიდსისა» და მისი ახალი ლიდერის თომას ბროლინის ძლევის შემდეგ ქინქლაძემ კიდევ ერთი მეტსახელი დაიმსახურა

დავით მჭედლიშვილი,
ლონდონიდან

„შემცვლელი გერი ქრინის გოლით „მანჩესტერ სიტიმ“ აღმასვლა განაგრძო. გუნდი მეხუთე თამაშია აღარ აგებს, ბოლო სამი ზედიზედ მოიგო, „ლიდსთან“ კი სტუმრად პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. ქრინი თამაშში დაშავებული რიჩარდ ეჯპილის ნაცვლად რომ ჩაერთო, მეორე ტაიმი სამი წუთის დაწყებული იყო. მესამოცე წუთზე მან ბურთი თავით ჯონ ლუკიჩის კარში შეაგდო. ამ გოლს „სიტი“ უდავოდ იმსახურებდა. ალან ბოლის გუნდმა ამ შეხვედრაში „ლიდსს“ ერთხელაც არ მისცა ჩვეულად თამაშის საშუალება. თავის მხრივ „სიტის“ ყველა წამოწყების გული ქართველი ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე გახლდათ. მანჩესტერელები მასპინძელთათვის მუდმივ ხიფათს წარმოადგენდნენ. შეხვედრაში, რომელშიც სახიფათო მომენტები მაინცდამაინც უხვად არ ყოფილა, „სიტი“ ყველაზე მეტად პირველ ტაიმში იჩხვლიტებოდა. 21-ე წუთზე უვე როსლერის დარტყმა (როსლერს სამი თვეა გოლი ვერ გაუტანია) ლუკიჩმა მოიგერია. რვა წუთის მერე როსლერმა ალბათ იფიქრა, ნავსი გავტეხეო — ნიკ სამერბის შორეულ ძელისკენ ჩაწოდებულს მან თაური შეაგება. ბურთი ზედა ძელს მოხვდა და ქვევით ჩავარდა. „სიტის“ მოთამაშეებმა ჩათვალეს, ხაზი გადაკვეთაო, მაგრამ თანამსაჯს რეაქცია არ ჰქონია.

„ლიდსი“ კი თავის თომას ბროლინიანად, რომელიც 4,5 მილიონი გირვანქა დაჯდა, სახეიროს ვერაფერს ქმნიდა. ყველაზე უკეთ ბროლინი 58-ე წუთზე გაისარჯა, ბრაიან დეინს რომ მიაწოდა, მაგრამ დეინის დარტყმული აიკე იმელმა ხარიხასთან მოიგერია. ამის შემდეგ, 60-ე წუთზე გავიდა მატჩის ერთადერთი გოლი. ქინქლაძემ მარცხნივ, თავისუფალ სტივ ლომასს მიაწოდა, მან ჩაჰკიდა, გერი ქრინმა კი თაურით ანგარიში გაიხსნა. გაშვებული გოლის შემდეგ „ლიდსმა“ ყველა ღონე იხმარა, მაგრამ სასურველს ვერ მიაღწია. ბროლინი კი 75-ე წუთზე ნოელ ვილანით შეცვალეს. უმწვავესი მომენტი ბოლო წამებზე შეიქმნა, ზემოხსენებულმა ვილანმა თაური რომ დაარტყა, მაგრამ იმელმა დიდებული ბურთი მოიგერია.“

ასეთია შაბათს გამართული „ლიდს იუნაიტედისა“ და „მანჩესტერ სიტის“ მატჩის მოკლე მიმოხილვა, რომელიც სააგენტო რეიტერმა გაავრცელა. ამ შეხვედრაში ქინქლაძის გუნდმა ზედიზედ მესამე, სტუმრად კი პირველი გამარჯვება მოიპოვა და პრემიერლიგაში უკვე ხუთ გუნდს გადაასწრო. გაზეთმა „სანმა“, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად დაიშურა საქები სიტყვები ქართველი ლეგიონერის მიმართ, ვისაც წინა კვირას „მეფე ქინქი“ შეარქვა. ამჯერად მატჩისადმი მიძღვნილი წერილი „სანმა“ ასე დაასათაურა — უტყვი მკვლელი გიორგი. თუ რატომ უტყვი მკვლელი, ეს წერილის დასაწყისშივე ჩანს:

„სიტის“ ქართველმა მაესტრომ ინგლისური თითქმის არ იცის, მაგრამ მისი ფეხბურთის ენით მრავალტომეული დაიწერება. ბოლის გუნდის ალმაფრენის სულისჩამდგმელი ამჯერადაც საუკეთესო იყო მატჩში“.

„სანის“ დარად სხვა გაზეთებმაც გიორგი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, ათბალიანი სისტემით ცხრიანები არგუნეს და, რაც მთავარია, აღნიშნეს, რომ ქართველმა აშკარად დაჩრდილა „ლიდსის“ ახალი ლიდერი, შვედი თომას ბროლინი. საინტერესოა, როგორ დამთავრდება მომავალ შაბათს ქინქლაძე — ჯუნინიოს დუელი: მორიგ ტურში „სიტი“ სტუმრად ბრაიან რობსონის „მიდლსბროს“ ხვდება.

თამაში თამაშად და მალე, ალბათ, გიორგის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრაზე დასწრებაც მოუწევს. საქმე ის გახლავთ, რომ როგორც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ისევე ახლაც, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი სპონსორი, კომპანია **EUROCARD-MASTERCARD** აწყობს გამოკითხვას ევროპის 25 საუკეთესო ფეხბურთელის დასადგენად. რჩეულთა სახელებს 17 დეკემბერს კენჭისყრის ცერემონიალზე სახელგანთქმული ბობი ჩარლტონი დაასახელებს. მანამდე კი კომპანიამ გამოაქვეყნა იმ 50 ფეხბურთელის სია, საიდანაც ის 25 აირჩევა. სასიხარულოა, რომ ქინქლაძის გარდა, მასში საბერძნეთის აეკ-ში მოთამაშე თემურ ქეცბაიაც ფიგურირებს.



ქინქლაძე თანაგუნდელებს ფეხბურთის თამაშთან ერთად ჩვენებურ ცეკვასაც ასწავლის · ქენ კარპენტერის ფოტო

# ჩემპიონები დაწინაურდნენ

პარასკევს თბილისის „დინამოს“ „სამტრედიასთან“ გამარჯვებით დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრე ფეხბურთში. ამ შეხვედრაში გატანილმა სამმა გოლმა საქართველოს უცვლელი ჩემპიონი ჩვეულ ადგილზე აღაზევა. ახლა დინამოელები უფრო გულდამშვიდებულნი მოემზადებიან ზამთრის ტრადიციული ტურნირებისთვის. როგორც მერაბ ჟორდანიამ გვაცნობა, პირველი ასეთი ტურნირი, სადაც „დინამო“ ითამაშებს, მინი-ფეხბურთში კიევის საერთაშორისო იქნება. ჩვენების გარდა მასში დაგეგმილია მოსკოვის „სპარტაკისა“ და არმიელების, აგრეთვე, კიევის „დინამოს“ მონაწილეობა.

იხილეთ მეორე გვერდი

დღეს კი, პირველ წრეს კალათბურთელები დაასრულებენ. ფეხბურთელი კოლეგებისგან განსხვავებით, „დინამოს“ კალათბურთელებმა წრის უმთავრესი მატჩი გუშინ დათმეს ქვეყნის სამგზის ჩემპიონთან „ვითასთან“.

# უექველია — 5 ძალოსანი

წინა „სარბიელში“ ქართველი ძალოსნების მიერ მოპოვებული ოლიმპიური ლიცენზიების შესახებ ორი ვერსია გამოვაქვეყნეთ, რომელთა მიხედვითაც ბოლომდე გაურკვეველი იყო, რამდენ ჩვენს სპორტსმენს შეუძლია ატლანტაში ასპარეზობა. ისიც გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მე-15 ადგილი დაიკავა, რაც ატლანტაში 7 ძალოსნის გამოყვანის უფლებას გვაძლევდა. გაირკვა, რომ ჩვენებს მე-15 ადგილი მედლებით, ქულებით კი მე-17 ადგილი დაუკავებიათ, ლიცენზიები კი ამ უკანასკნელი მონაცემების მიხედვით გაიცემოდა. ახლა დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ძალოსნობაში 1996 წლის ოლიმპიადაზე ხუთი სპორტსმენით ასპარეზობა შეგვიძლია.

# კაკაურიძეს ნება დართეს

მოგეხსენებათ, ქართველმა მოკრივემ აკაკი კაკაურიძემ სურვილი გამოთქვა ივარჯიშოს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და მოიპოვოს ატლანტა — 96-ის ლიცენზია. მაგრამ სურვილი ერთია და რეალობა — მეორე. აკაკი ხომ ერთხანს თურქეთის სახელით გამოდიოდა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორიც გახდა, ამდენად, საჭირო იყო თურქეთის ოლიმპიური კომიტეტის ნებართვა, რათა კაკაურიძეს ამიერიდან საქართველოს ღირსება დაეცვა.

კვირას საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში თურქეთის ანალოგიური ორგანიზაციიდან ფაქსი მოვიდა. თურქული ოლიმპიზმის მამები, ამ ქვეყნის კრივის ფედერაციასთან შეთანხმებით, თანახმანი არიან, რომ აკაკი კაკაურიძემ ოლიმპიურ ციკლში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზოს და თან, წარმატებასაც უსურვებენ მას. ახლა ჯერი ქართველ მოკრივეზეა. მას ოლიმპიური ლიცენზიის მიღებაღა დარჩენია, რათა ატლანტაში გამოვიდეს.

# მართლა კაცურად დაგვამარცხეს?

საზოგადოებრიობამ ერთობ განიცადა ქართველ მორაგბეთა ჰოლანდიური მარცხი. საქმეში ჩახედული ხალხი ჰკვირობს, ჩვენი ბიჭები ეგრე რამ დააჩაჩანაკა, რომ გინდ ნაქეიფრებიც ყოფილიყვნენ, მაინც ვერ გაუძლიანდნენ მასპინძლებსო.

წინა კვირაში ქართველ „ბორჯღალოსანთა“ უჩვეულო ლასლასის სავულისხმო ვერსია წამოაყენა ალმოსავლური ორთაბრძოლების მავანმა ჩვენებურმა სპეციალისტმა. მისი აზრით, სულაც არაა გამორიცხული, თამაშის დილით ჰოლანდიელებს ჩვენებისათვის საჭმელში ვთქვათ და ერთი პაკეტი ლუმინალი ჩაეყარათ — ესეც იკმარებდა, მთელი გუნდი მთვარეულივით რომ ყოფილიყო.

ამგვარი დივერსია რაგბის კეთილშობილ სამყაროში უცხო ხილი როდია. რაღა შორს წავიდეთ, 1980-იანი წლების შუა ხანებში „ბლედისლოუს თასისათვის“ ავსტრალია — ზელანდიის მატჩის წინა ღამე ერთ-ერთმა გუნდმა საპირფარეშოში გაატარა, რაკიღა მეტოქემ იზრუნა, სადილში სასაქმებელი ჩააყრევინა და მატჩის დაწყებამდევე გააცალა არაქათი.

იკადრებდნენ კი მსგავს რამეს ჰოლანდიელები? — ძნელი სათქმელია, მაგრამ ისიც ფაქტია, ჯენტლმენ ბრიტანელებს ულირსობის ჩვენება რომ სურთ, მყის სრუტესგაღმელ მეზობელს მოიხსენიებენ ხოლმე.

ჩვენდათავად დავძენთ, რომ უცხოეთში შემდეგივე სტუმრობისას ქართველ მორაგბეებს მეტი სიფრთხილე მართებთ — მატჩის წინ თავად უნდა ისადილონ. სტუმარი რომ გვეწვევა, მათ მოწამვლას არა ვქადაგებთ, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ „მეტეხში“ დაბინავებულთ ჭკუის სასწავლებლად თითო დღეს გავატარებინებთ გუდაურში, გარდაბანსა და გურჯაანში.

და კიდევ, გაისად 31 მარტს ჩვენი ბოლო მეტოქე ჩეხეთი პრაღაში ჰოლანდიას მასპინძლობს. იქ აუცილებლად უნდა მივავლინოთ მზვერავები — ეროვნული ნაკრების ორივე მწვრთნელი. რაც უნდა იყოს, გერმანიის რაგბის კავშირი ჩვენსას შეძლებით ვერა სჯობს, მაგრამ ნაკრების თავკაცი პეტრე იაშვილიშვილი მეტოქეთა თამაშების სანახავად ჩვენების ბოლო სტუმრობის ორივე ადგილას — ოლბორგშიცა და კასტრიკუმშიც ჩავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაშამდე

მატჩის დაწყებამდე „დინამოელთა“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული გახლდათ:

— გაუთვალისწინებელი პრობლემები გვაქვს, ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ ძირითადი მეკარე ზოიძე და ნახევარმცველი ცქიტიშვილი. ამან გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. კერძოდ, კარში სათადარიგო ჭანტურიას ვაყენებთ, ნახევარდაცვაში კი ახალგაზრდა დავით მუჯირს. ძნელი თამაში კი მოგველის, მაგრამ პრობლემების მიუხედავად ვეცდებით გავიმარჯვოთ, ჩვენთვის უკანდასახევი გზა მოჭრილია, კი, ძლიერი მეტოქე გვყავს „სამტრედიის“ სახით, მაგრამ...

იქვე ნიკა ამირეჯიბს მოვკარი თვალი, არ დამიხანებია და გამოცდილი სპეციალისტის აზრიც გავიგე:

საინტერესო თამაში იქნება, „დინამოც“ და „სამტრედიაც“ ჩემპიონობისთვის იბრძვიან და, რა თქმა უნდა, ორივე გამარჯვებას ეცდება. ჩემი აზრით, გაიმარჯვებს ის, ვისაც მეტი ძალა აქვს შემორჩენილი და, მგონი, დღევანდელი თამაშისთვის ასეთ მდგომარეობაში „დინამო“ უნდა იყოს.

თამაშის დაწყებამდე სამტრედიელთა დაშავებულ მოთამაშეს ბუბა ტყავაძეს შევხვდი. თუ გახსოვთ, მან სეზონის დასაწყისშივე საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და პირველი წრე, ფაქტიურად, გამოტოვა.

— ოპერაცია ახალი გაკეთებული მაქვს, ერთი კვირაა, რაც ვარჯიში დავიწყე.

— „სამტრედიაში“ დარჩენა გადაწყვეტილი გაქვს?

— ჯერჯერობით, არ ვიცი, რამდენ ხანში აღვიდგენ ფორმას. დარჩენაც ამაზეა დამოკიდებული. შევხვდები ხელმძღვანელობას და მაშინ გადავწყვეტთ ყველაფერს.

— ეს მარტო შენს ფორმაზეა დამოკიდებული თუ გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე?

— დიდი ხანია, კონტაქტი არ მქონია ხელმძღვანელობასთან, ასე რომ, როგორ არის ფინანსები საქმე, რა ხდება გუნდში, არ ვიცი. ისევ და ისევ ამას ვიტყვი: როდესაც ფორმას აღვიდგენ, მაშინ მოვილაპარაკებთ, დავრჩები თუ არა „სამტრედიაში“. ამდენი ხნის მანძილზე გუნდიდან წასვლაზე არც მიფიქრია. იმედი მაქვს, ისევ აქ დავრჩები, თუ ყველაფერი წესრიგში იქნება.

თამაშამდე, რა დასამალია და, უსიამოვნო ხმები დაირხა, თითქოს სამტრედიელები უკმაყოფილონი იყვნენ პირობების შეუსრულებლობით. როგორც კი თამაშის წინ გუნდთან გასაზღელში განმარტოებული ტარიელ ჩაჩუა გარეთ გამოვიდა, უპირველესად სწორედ ეს ვკითხე — რა ხდება სინამდვილეში?

— არაფერიც არ ხდება. გუნთან აბსოლიტურად ყველა ვალი ბოლომდე გასტუმრებულია, ასე რომ, გუნდში ვერანაირ პრობლემას ვხედავ და არც არსებობს.

...აქვე ვისარგებლე შემთხვევით და ბატონ ტარიელს ზაზა ჯანაშიაზე დავეკითხე:

— რატომ რა წასულა იგი აქამდე „ლოკომოტივში“?

— ჯანაშია გუნდშია და ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა „ლოკომოტივში“, თუ გერმანიაში ჩასატარებელ შეკრებაზე სიომინს მოეწონება. ზაზა, უბრალოდ, გასასინჯად მიდის. იმის შემდეგ, თუ ჩათვლიან, რომ ჯანაშია „ლოკომოტივს“ სჭირდება, კონტრაქტიც დაიდება.

— ესე იგი, საუბარია მხოლოდ გასინჯვაზე და არა კონტრაქტზე?

— ვინ თქვა, რომ ჯანაშიას ამბავი გადაწყვეტილია? საქმე არის გადაწყვეტის პროცესში. მაგრამ, ვიმეორებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზაზა ადგილს დაიმკვიდრებს. ეს იმიტომ, რომ, როგორც მე ვიცი, სიომინს „ჟემჩუჟინიდან“ და კიდევ სხვა გუნდებიდანაც მოჰყავს ფეხბურთელები გასასინჯად.

თავად ზაზასთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე. მართალია, იგი ძირითადში არ თამაშობდა, მაგრამ თამაშამდე საუბრისგან თავი შეიკავა. გვთხოვა, მატჩის დამთავრების მერე იყოსო...

მამუკა კვანტალიანი
მერაბ მამულაშვილი

**საქართველოს ჩემპიონატი**

1 დეკემბერი, ეროვნული სტადიონი
7 000 მაყურებელი

**დინამო 3:1 სამტრედია**

დინამო: ჭანტურია, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, კობიაშვილი, მუჯირი (ხორხელი 60), ხომერიკი (კერძევაძე 46), იაშვილი

სამტრედია: დოლაბერიძე, იონანიძე (ზ. ჯანაშია 59), გუჩუა, ზ. ჯელაძე, ბერაძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ფანჩულიძე, დ. ჯანაშია, გ. დარასელია, ჩხაიძე

1:0 მაჭავარიანი (25), 1:1 გოგიაშვილი (39), 2:1 იაშვილი (59), 3:1 კერძევაძე (82)

გაფრთხილება: დიდავა, იაშვილი, გუჩუა, ჩხაიძე, დ. ჯანაშია

მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 11 | 3 | 1 | 47-8 | 36 |
| სამტრედია | 15 | 11 | 3 | 1 | 54-20 | 36 |
| მარგვეთი | 15 | 11 | 0 | 4 | 44-15 | 33 |
| კოლხეთი | 15 | 10 | 2 | 3 | 38-22 | 32 |
| ბათუმი | 15 | 9 | 4 | 2 | 32-14 | 31 |
| მეტალურგი | 15 | 10 | 0 | 5 | 33-19 | 30 |
| ტორპედო | 15 | 9 | 3 | 3 | 37-21 | 30 |
| დილა | 15 | 8 | 2 | 5 | 27-24 | 26 |
| შევარდენი | 15 | 6 | 1 | 8 | 24-29 | 19 |
| კახეთი | 15 | 4 | 3 | 8 | 14-31 | 15 |
| ეგრისი | 15 | 4 | 2 | 9 | 26-34 | 14 |
| ივერია | 15 | 4 | 1 | 10 | 14-30 | 13 |
| ზუგდიდი | 15 | 4 | 1 | 10 | 24-42 | 13 |
| სიონი | 15 | 4 | 0 | 11 | 15-31 | 12 |
| გურია | 15 | 2 | 0 | 13 | 12-45 | 6 |
| დურუჯი | 15 | 0 | 1 | 14 | 4-60 | 1 |



# და მაინც „დინამო“!

პირველი წრის საჩემპიონატო ფინალს ყველაზე მეტი მაყურებელი კი შეესწრო. მაგრამ ესენი, იმის მაგივრად, თავ-თავიანთ გუნდებისთვის გულიანად ექომაგათ და თამაშისთვის ეშხი და ლაზათი შეემატებინათ, მუნჯებივით ისხდნენ და ხმას მხოლოდ იმიტომ ამოიღებდნენ ხოლმე, რომ მსაჯისთვის შეეგინებინათ, ანაც მეტოქისთვის საწყენი რამ ეთქვათ. ამას კი მოსდევდა საქმის ექსპრეს-გარჩევები, თუმცა პოლიციამ ივარგა, დასავლეთის ტრიბუნაზე დროულად ამოვიდა და „ძირშივე აღკვეთა“ მოსალოდნელი აყალმაყალი.

რახან მაყურებლით დავიწყე, ერთიც უნდა ვთქვა. თბილისელი გულშემატკივრები საქართველოში ყველაზე დაჩაგრულები არიან. მეშვიდე ჩემპიონატია, არ ყოფილა შემთხვევა, დედაქალაქელ გულშემატკივარს პროვინციელი კოლეგა გაელახოს, ეგინებინოს, ელანძღოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავის გუნდს ქომაგობს. ეროვნულ სტადიონზე არც მსაჯი გაულახავს ოდესმე თბილისელ გულშემატკივარს. თუ რაიმე კონფლიქტი ხდება, ისევ ჩამოსულის მიზეზით — ან ფეხბურთელს შეაგინებენ, ანაც თბილისზე ან „დინამოზე“ ერთ-ორ მწარეს იტყვიან — ამეების მომსწრე თავადაც ბევრჯერ ვყოფილვარ.

რაიონში კი... კარგი ბიჭი ხარ და, „დინამო“ დაიყვირე! ისე გიყურებენ, როგორც მტერს. თუ ვინმე ამ სიტყვების წაკითხვისას აღშფოთდება, თავის გულში ჩაიხედოს და მიხვდება, რომ ცამდის მართალი ვარ. აკი „დაგვპირდა“ კიდეც ზოგი სამტრედიელი: სამტრედიაშ ჩამოსვლა არ გინდათო!

მოკლედ, ამ ცოტა არ იყოს გრძელი შესავლის ისევ შერიგების სიტყვებით დამთავრება მსურს: თუ ცივილიზაციისკენ მივდივართ, ცივილურად ვუქომაგოდ საკუთარ გუნდს, დაე, მოწინააღმდეგემაც იგივე ჰქნას, ჩხუბს არა სჯობია, იმათზე ხმამაღლა ვიყვიროთ: „დინამო!“ „სამტრედია!“ „ტორპედო!“ და ა.შ. რაც უნდა მოხდეს, ეროვნულ ნაკრებს ხომ ყველამ ერთად უნდა ვუქომაგოთ...

მატჩის წინ სამრტედიელი გულშემატკივარი ტაშით შეეგება ახალ არჩეული პარლამენტარის, მათი გუნდის პრეზიდენტის ტარიელ ჩაჩუას სარბენ ბილიკზე გამოჩენას. როგორც შევიტყვე, თამაშის წინ ჩაჩუა ბიჭებს შეჰპირებია, ყველასთან პირნათელი ვიქნები და ფინანსურად ყველასთან გავსწორდებიო. ესეც დამატებითი სტიმული უნდა ყოფილიყო ლიდერობას უკვე ნაჩვევ „სამტრედიისთვის“. დინამოელთათვის კი ეს თამაში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, მკითხველს არგუმენტების მოხმობით აღარ გადავღლი... მატჩის დასაწყისშვე მეტოქეებმა შეტევები გაცვალეს, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი და ლამაზი მაინც სამტრედიელთა ეს შეტევა გახლდათ: დათო ჯანაშიამ გოგიაშვილის პასი მიიღო, სწრაფად გაიჭრა წინ, საჯარიმოსთან მარჯვნივ გაუხვია და ძლიერად დაარტყა: გელა ჭანტურიამ ლამაზ ნახტომით „გამოაძრო“ უეჭველი გოლი მარცხენა კუთხიდან.

თამაშამდე და თამაშისასაც ორივე მეკარეს რაღაც შეშფოთისმაგვარი დაჰკრავდა, ალბათ სასტარტო ციებ-ცხელება თუ იყო — ორვენი ხომ სათადარიგო მეკარეებად ითვლებიან თავ-თავიანთ გუნდებში. მინდვრის მოთამაშეებმა კი უხეშობამდე ხისტი ფეხბურთი გააჩაღეს. წელს ნანახი მატჩებიდან ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში ეს ყველას კი სჯობდა, მაგრამ დიდი ფეხბურთი იყოო — ვერ ვიტყოდით, რაკილა წინა წლებთან შედარებით ჩვენი ფეხბურთის დონე აშკარად დაქვეითებულია.

ტაიმის შუაში ხომერიკთან ორთაბრძოლისას ზედ სამტრედიელთა საჯარიმოს წინ სტუმრებმა უხეშად ითამაშეს — ყოველ შემთხვევაში, მატჩის არბიტრმა ასე მიიჩნია და ჯარიმაც დანიშნა. სამტრედიელთა კედელი კი უცნაურად მოიქცა: მაჭავარიანის დარტყმისთანავე დაიშალა და ბურთიც რიკოშეტით დოლაბერიძის კარში აღმოჩნდა. მალე იაშვილის მაკრატელა მოიგერია სამტრედიელთა მეკარემ. ამის მერე სამტრედიელებმა ნაღდი გოლი ვერ გაიტანეს: გოგიაშვილი პირისპირ გავიდა ჭანტურიასთან და იმის ნაცვლად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა კარში დაერტყა — შემოვლითი დარტყმა არჩია, ჭანტურიამ კი მეორედ იხსნა კარი, უფრო ზუსტად, მისი მარცხენა კუთხე. მაგრამ გოლი მაინც ამ კუთხეში გავიდა: გოგიაშვილმა შეცდომა გამოასწორა — სამტრედიელთაგან საუკეთესო იონანიძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმის დარტყმისას საჯარიმოში ჩაწოდების იმიტაცია გააკეთა, მოჭრილი დარტყმით კი „იმ“ მარცხენა კუთხეში ჩააგდო ბურთი. ჭანტურიამ ამჯერადაც მოიგერია, მაგრამ უკვე კარის ხაზის შიგნით... სტუმრებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ იონანიძის პასის მერე მეკარისგან ათიოდე მეტრით დაშორებულმა დარასელიამ, იმის ნაცვლად, ბურთისთვის ჭვინტი წაეკრა, მცველთა მოტყუება განიზრახა და დინამოელებმაც ხიფათი განმუხტეს.

მეორე ტაიმში კი ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, სამტრედიელები გადაიღალნენ-მეთქი. მატჩი კი დინამოელთა უკეთესმა ფიზკურმა მომზადებამ და ალექსანდრე იაშვილმა მოიგეს, თანაც ჩემი აზრით, აშკარა შეცდომა იყო ჩინებულად მოთამაშე იონანიძის გამოცვლა. ჯერ მარცხნიდან კობიაშვილის გარღვევა „იაშკამ“ გოლად აქცია, მერე კი თავად გამოზომილი პასი მისცა საჯარიმოში როინ კერძევაძეს, ახალგამოსულმა „ბაჯბაჯამ“ ბურთი ცუდად მიიღო, მაგრამ ლამაზი ცრუ მოძრაობებით და დარტყმის იმიტაციით მცველებიც სახტად დატოვა და მეკარეც. თამაში ამის მერე ინერციითღა გაგრძელდა და მსაჯის საფინალო სასტვენმა პირველი წრის გამარჯვებული — თბილისის „დინამო“ დაასახელა.

დინამოელთა ეს გამარჯვება ლოგიკური გახლდათ ამ მატჩშიაც და ჩემპიონატის პირველ წრეშიაც, თუმცა, ვიმეორებ, „იმ“ „დინამომდე“ ჩვენ რომ გვახსოვს, ცა და დედამიწაა და ეს მარტო იმის ბრალი არ არის, რომ ქინქლაძე და კომპანია გუნდიდან წავიდა. პირველი, რაც „დინამოს“ თამაშის ხილვისას გეცემა თვალში, ამ კლუბისთვის ყოველთვის დამახასიათებელი ამპლუის — გამთამაშებლის არყოლაა. არადა, როგორც ვიცი, ცაავაც ირიცხება გუნდში და ანჩაბაძეც. ამათ კი, რა-რა და, კანფეტივით პასების გაკეთება კი იციან, ისეთის, მაყურებელი მერე კარგა ხანს რომ იგონებს... თუმცა ეს ყოველივე გარედან, მაყურებლის თვალით დანახული და გამოთქმული უპრეტენზიო აზრი გახლავთ, ახლა მეორე წრემდე კარგა გვარიანი დროა და „დინამოს“ გეგმები რომ ვიცი, უცხოური ტურნეები არ მოაკლდება. ასე რომ, მათ პირველი წრის პროგრამა-მინიმუმი დასძლიეს.

რაც შეეხება სამტრედიელებს, გარედან ის ჩანს, თითქოს ყველაფერი წესრიგშია, პრეზიდენტიც ამას ირწმუნება, მწვრთნელიც და მოთამაშეებიც, ჭორები და გადაკვრით ნათქვამები კი იმაზე მიანიშნებს, რომ მთლად ფრიადზე ვერაა საქმე „სამტრედიაში“. იმედია, იმ რამდენიმე თვეს, მეორე წრეს რომ გვაშორებს, გუნდი ნაყოფიერად გამოიყენებს და ისევ გაუმართავს დუელს „დინამოს“. აქვე მინდა ორიოდ სიტყვა სამტრედიელთა ყოფილ ლიდერზე, ზაზა ჯანაშიაზეც ვთქვა: ეს უნიჭიერესი ახალგაზრდა, თუ მეტი სერიოზულობით არ მიხედა საქმეს, რუსეთში კი არა, ვერც საქართველოში ითამაშებს. ამის დასტური ეს მატჩიც გახლდათ. სადღა იყო ის „ძველი“ ჯანაშია ლამაზი გარღვევებით, კარში დარტყმებით, „მაკრატელებით“... როგორც შევიტყვე, ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივში“ ვალტერ გუჩუაც მიჰყვება და ორვესთვის ეს ბოლო მატჩი იყო საქართველოს პირველობაზე. ვინც წავიდა, ყველამ იხეირა. ასე რომ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ...

მამუკა კვარაცხელია

ზურაბ გენბიურის
ფოტოები



ზაზა ჯანაშიამ ლობჟანიძეს ვერაფერი დააკლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაშის მერე

### დავით ყიფიანი, „დინამო"

— ჩვენი გამარჯვება, ვფიქრობ, კანონზომიერი იყო, დღევანდელმა თამაშმა ყველას დაანახა, „დინამოს" პოტენცია და მის სიძაბუნეზე არსებული ყველა მითი გააქარწყლა. ბიჭებმა მთელი მონდომებით ითამაშეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. შედეგით კმაყოფილი ვარ, ხარისხით კი არა. იყო მომენტები, როცა ფეხბურთელებს მოედანზე მეტი სისხარტე და სწრაფი აზროვნება მოეთხოვნებოდათ.

— მეტოქეზე რას იტყოდით?

— არაერთხელ მთქვამს, რომ „სამტრედია" ძალიან კარგი, მობილური გუნდია და საინტერესო ფეხბურთს თამაშობს. თავად ფაქტი, რომ დღევანდლამდე არ დამარცხებულან, მათ სიძლიერეზე მეტყველებს. დღეს მეორე ნახევარში ფიზიკურად ვერ გაძლეს, თორემ პირველ ტაიმში ტოლი არ დაუდიათ.

### ალექსანდრე იაშვილი

— ჩვენი თამაში ვითამაშეთ, ყველაფერი გავიღეთ გასამარჯვებლად და საწადელს კიდეც მივაღწიეთ. ჩემი აზრით, კარგი თამაშის და უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით გავიმარჯვეთ.

### კახი გოგიჩაიშვილი

— ძნელი, საინტერესო თამაში იყო. როცა ასეთი დონის გუნდს ხვდები, თამაშიც სასიამოვნოა. ჩვენ ყველაფერი გავიღეთ გამარჯვებისთვის, „სამტრედიას" კი მეორე ნახევარში ძალა არ ეყო. ამ გამარჯვებამ ჩვენ და ჩვენი გულშემატკივრები ძალიან გაგვახარა.

### კახა ელაშვილი, „სამტრედია"

— პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და კმაყოფილიც ვიყავი ბიჭებით. მეორეშიც შეგვეძლო უკეთ თამაში, მაგრამ არ წაგვივიდა.

— მიზეზი?

— ეს პირველი მატჩია წლევანდელ ჩემპიონატში, რომელსაც მსაჯობით უკმაყოფილო დავრჩი, მაგრამ წაგებას მსაჯს არ ვაბრალებ. თამაში მე წავაგე, შევცდი, იონანიძე არ უნდა შემეცვალა. მეგონა, ჯანაშია მეტს გააკეთებდა.

— იონანიძით უკმაყოფილო იყავით? შეცვლამდე იგი საკმაოდ კარგად მოქმედებდა...

- არა, კმაყოფილი ვიყავი.

— ეტყობა, უფრო მეტი გინდოდათ?

— ასე იყო, მაგრამ ჯანაშიამ არ გაამართლა.

— დღეს ნახევარდაცვამ თავი ვერ გამოიჩინა.

— ამით წავაგეთ. მოედნის ცენტრში დავთმეთ ბრძოლა. გოგიაშვილს ადრე სხვა დავალებას ვაძლევდით, ახლა უკან იყო დახეული. პირველი გოლის შემდეგ გამწარდა ბიჭი, ბურთის გატანაზე ფიქრობდა. და მისმა წინწაწევამ გაწყვიტა კავშირები.

### ზურაბ იონანიძე

თუ ვინმეს გამოარჩევდა კაცი სამტრედიელთაგან, უპირველესად ზურაბ იონანიძეს. ჩვენდა გასაკვირად, იგი მეორე ტაიმში გამოცვალეს. აკი აღიარა კიდეც კახა ელაშვილმა, ეს შეცვლა ჩემი დიდი შეცდომა იყოო. იონანიძე აქტიურად, აზრიანად და მწვავედ თამაშობდა. გასახდელში იგი, მისი თანაგუნდელების დარად, ნირწამხდარი იყო.

— წასაგები თამაში იყო და წავაგეთ კიდეც. მეტს ვერაფერს გეტყვი.

### ბესო ამაშუკელი

— ძლიერმა გაიმარჯვა, იმის მიუხედავად, რომ მართლა თავი მოვიკალით. მაგრამ რალაც ნიუანსები იყო...

— რომელ ნიუანსებს გულისხმობ?

— ბოლო დროს კალაპოტიდან ამოვვარდით, ნაკლებად ვვარჯიშობდით მაგრამ, არა უშავს, ყველაფერი მოწესრიგდება და ჩვენსას მაინც მივაღწევთ.

— მეორე ტაიმში გულგატეხილნი ჩანდით, რა მოგივიდათ?

— დაცვაში გაუგებრობები იყო და პირველმა გოლმა აგვრია. უაზრო გოლი გავიდა. მაგრამ, ვიმეორებ, ეს წაგება მაინც არ ნიშნავს ჩვენს საბოლოო მარცხს და ყურებს არ ჩამოვყრით.

### ზაზა ჯანაშია

ზაზასთვის ეს შეხვედრა, შესაძლოა, ბოლოც იყოს „სამტრედიაში". მეორე ტაიმში იონანიძის შემცვლელისგან მაყურებელი თამაშის გამწვავებას ელოდა, თუმცა, ცოტათი შესუქებულმა და მწყობრიდან საკმაოდ ამოვარდნილმა ქომაგებს იმედი გაუცრუა:

— არ ვიყავი ფორმაში, ერთი თვეა, არ მივარჯიშია, წონაც მაწუხებს, რა ვიცი, მე მგონი, გამოვასწორებ. ოთხ დეკემბერს მოსკოვში მივემგზავრები, „ლოკომოტივთან" ერთთვიან შეკრებას გავივლი უცხოეთში და ვფიქრობ, მოვასწრებ ფორმის აღდგენას.

— ჩვენი წინა შეხვედრისას სამტრედიაში მითხარი, რომ ოქტომბრის დასაწყისისათვის აპირებდი მოსკოვში გამგზავრებას...

— მაშინ ფინანსური პრობლემები იყო და ვერ მოვახერხე წასვლა. ახლა მოვაგვარეთ.

— ამბობენ, ტარიელ ჩაჩუა ზაზა ჯანაშიას მენეჯერობას აპირებსო...

— არ ვიცი, შეიძლება და კიდევაც კარგია ჩემთვის და ყველასთვის. გუნდსაც ეშველება რამე.

— საწყენად არ მიილო და, თავნება ფეხბურთელს გეძახიან. რუსეთში კი, ვეჭვობ, ასე რამე გამოგივიდეს...

— რა გითხრა, ამას შეკრებაზე ვნახავ. მე მგონი, მოვემზადები და, თუ არა, სკამიც კარგი რამ არის „ლოკომოტივში".

### ვალტერ გუჩუა

— თვითონაც ნახეთ, თამაშის ზოგიერთ მონაკვეთში კარგად ვთამაშობდით, ხშირად კი ამას ვერ ვახერხებდით. ბოლოს ჩვენმა მოუმზადებლობამაც იჩინა თავი, დავიღალეთ.

— მსაჯების მიმართ ხშირად გამოთქვამდით უკმაყოფილებას.

— მსაჯებთან რა გვეთქმის, გვაჯობეს დინამოელებმა.

### ლევან დოლაბერიძე

— ლევან, გემჩნეოდა, საკმაოდ ნერვიულობდი...

— ასე იყო. ეს თამაში ძალიან ბევრს ნიშნავდა როგორც გუნდისათვის, ასევე ყოველი მოთამაშისათვის. ძალიან ბევრი პრობლემა იყო გუნდში, იმდენად ბევრი, რომ ერთ კონკრეტულს ვერ გამოვყოფ. თანაც, მეორე ბურთმა გაგვტეხა, ძალიან გაგვტეხა. ჩვენ უფრო უკეთეს შედეგს და



გადამწყვეტი გოლი ლევან კობიაშვილის გარღვევას მოყვა

თამაშს ველოდით.

### გიორგი გოგიაშვილი

გუნდის კაპიტანმა სამტრედიელთაგან ერთადერთი, თანაც მშვენიერი გოლი გაიტანა. მან ჭანტურიას საჯარიმოთი, შორეულ კუთხეში დაურტყა, მაშინ, როდესაც ყველა გადაცემას ელოდა:

— ჯარიმებს სულ ასე ვურტყამ. ჭანტურიას საკმაო მანძილი ჰქონდა დაუცველი, ვხვდებოდი, ყველას ეგონა, ჩავაწოდებდი.

მერაბ მამულაშვილი
მამუკა კვანტალიანი

# შრომამ შექმნა ვარსკვლავი

**ბომბარდირთა დავაში ოცდასამი გოლით სამტრედიელი ზურაბ იონანიძე დაწინაურდა. უახლოეს მდევარს, მარგველ ზვიად ენდელაძეს ოთხი ბურთით უსწრებდა. სამტრედიელმა თავდამსხმელმა წელს საკმაოდ მოუმატა და არა მარტო შედეგიანობას — აშკარაა, თამაშიც დახვეწა, საგრძნობლად დაოსტატდა და მოედანზე ადრინდელთან შედარებით გაცილებით რაციონალური და ეფექტურია. არადა, შარშანდელ ჩემპიონატს, როდესაც „სამტრედიამ" ჯგუფის ლიდერებს დიდის რიხით და ამბიციით დაუწყო შევიწროება, ზურასათვის წარმატებულს ვერანაირად ვუწოდებთ. იგი საკმაოდ არასტაბილურად თამაშობდა, შედეგიანობაც არცთუ სახარბიელო ჰქონდა — სულ თხუთმეტი ბურთი სეზონში. თუმცა, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და ამაზე თავად იტყვის, ამჟამად კი ფაქტი ესაა: იონანიძე ყველას ჯობნის ბომბარდირთა დავაში.**



ზურაბ იონანიძე

— ჩემი დაწინაურების მიზეზი საკმაოდ მარტივია — ახალმა მწვრთნელმა წელს თავდასხმაში გადამიყვანა. მეორე ისაა, რომ უკეთ მოვემზადე, საერთოდ კი, ჩემი შედეგიანობა მნიშვნელოვნად გუნდის კარგმა თამაშმა განაპირობა.

— შარშან საკმაოდ ბევრ საგოლე მომენტს აცუდებდი. არა მგონია, მხოლოდ პოზიციის შეცვლამ გარგო...

— ამას ბევრი მეუბნებოდა, მეც ვხვდებოდი და სერიოზულად დავფიქრდი. ნაკლის გამოსწორებას ვარჯიშით შევეცადე და ბევრიც ვიმუშავე. ვარჯიშის შემდეგ ბაზაზე მარტო ვრჩებოდი, ანაც თანაგუნდელებს დავიხმარებდი ხოლმე და დიდხანს ვხვეწდი დარტყმებს.როგორც ჩანს, ნაკლი გამოვასწორე, წელს თითქმის ოთხმოცდაათპროცენტიანი მაჩვენებელი მაქვს, თხუთმეტი თამაშიდან მხოლოდ ოთხში ვერ გავიტანე.

— ამას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ თქვენი გუნდი სხვანაირად, სხვა ტაქტიკით და ყაიდით ათამაშდა...

— თავისთავად, თანაც, ეს ცვლილებები საგრძნობი იყო და ბევრით შევიცვალეთ. მიზეზი ახალი მწვრთნელია. ყველა მწვრთნელს თავისი მოსაზრებები აქვს, მათ შორის კახა ელაშვილსაც. მისი პრინციპები ჯერჯერობით მშვენივრად ამართლებს. თხუთმეტ მატჩში მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით და ჩემპიონატშიც ვლიდერობთ.

— რა განსხვავებას ხედავ ძველ და ახალ მწვრთნელებს შორის?

— უეჭველია, ხურცილავა ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია საქართველოში. დრომ დაგვანახა, რომ კახა ელაშვილსაც არანაკლებ შესძლებია საქმის კეთება. განსხვავება, ალბათ, განსხვავებულ საფეხბურთო შეხედულებაშია.

— წელს საკმაოდ სერიოზული დანაკლისი განიცადეთ ოთხი მოთამაშის წასვლით. რა შეცვალა ამან?

— რა თქმა უნდა, დანაკლისი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ შედეგი მაინც არის და, როგორც ჩანს, შემცვლელებმაც გაამართლეს.

... ერთი თვის წინ ზურაბ იონანიძე დაქორწინდა. ეს რომ მარტო მოთამაშის კი არა, ნებისმიერი საქმიანობის კაცს გარკვეული დროით კალაპოტიდან აგდებს, ცნობილი ამბავია. თუმცა, რაც არ უნდა უცნაური იყოს, იონანიძეს მსგავსი რამ არ დამართვნია. გაბედნიერების შემდეგ ექვს თამაშში შვიდი ბურთი გაიტანა. თავად ზურაბი ამ ამბავს უბრალოდ, მეტოქეთა სისუსტით ხსნის:

— რა თქმა უნდა, კარგია და მიხარია ასეთი შედეგიანობა, მაგრამ მეტოქესაც გააჩნია. ზოგთან ერთს კი არა, სამი-ოთხი ბურთის გატანაც არ გამჭირვებია. რა უნდათ ასეთებს I ჯგუფში, არ ვიცი...

— ისე, შენს ბომბარდირობას გარკვეულწილად მათ უნდა უმადლოდე — ბურთების უმეტესობა ხომ სწორედ ასეთებთან გაიტანე...

— ეს ბუნებრივია, სუსტებთან უფრო მეტს შესძლებ. ლიდერებთან კი მეტი ყურადღებაა მცველებიდან.

— წელს შენი მეურვეებიდან რომელმა დატოვა უკეთესი შთაბეჭდილება?

— ფოთელმა ქუნთელიამ. მთელი თამაში არ მომასვენა, ჩრდილივით დამდევდა, ამას ისიც დაერთო, რომ დაოჯახების შემდეგ უვარჯიშებელი, მოუმზადებელი, ჩვეული ფორმიდან შორს ვიყავი. საერთოდ, მივეჩვიე უგოლოდ მოედანი არ დავტოვო, სხვანაირად უკმაყოფილო ვრჩები, მაშინაც კი, თუ თამაშს ვიგებთ. მით უმეტეს, რომ წელს ბომბარდირობას ვაპირებ.

— წელს ბომბარდირებში იმერლებმა იძალეთ. მათგან რომელს გამოარჩევ?

— ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს აშვეთიას. საოცრად ალღოიანი და ნიჭიერია. ათ კაცში ბურთი მაინცა და მაინც მისკენ წავა. კარგი შემსრულებელი არის და მომზადებულიც ჩანს.. ეტყობა რეზო ბურკაძის ხელი, რეზო კი ჩვენში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელადაც მიმაჩნია.

— ქუთაისში ძლიერი გუნდის შექმნას ფიქრობენო. რომ მოგიწვიონ, როგორც ქუთაისელი, წახვიდოდი?

— თუ სამტრედიისნაირი პირობები იქნება, ისე წავალ არც დავფიქრდები.

— კონტრაქტს რას უზამ?

— კონტრაქტი წელს მიმთავრდება და ამის შემდეგ ისე მოვიქცევი, როგორც წესია და როგორც მომესურვება. მე წესს არ დავარღვევ. მაგრამ, მთავარია, „ტორპედო" ჩემპიონობისთვის იბრძოდეს.

— შენი აზრით, რა განსხვავებაა წლევანდელ და შარშანდელ ჩემპიონატებს შორის?

— გუნდები რომ გაძლიერდნენ, ფაქტია. ვინ წარმოიდგენდა, რომ "მარგვეთი" ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა, რიგითი გუნდი იყო. „მეტალურგიც" ძლიერია. მართალია, „კოლხეთს" ჩვენთან თამაში არ გამოუვიდა, მაგრამ ეს მის ღირსებას არ ამცირებს. „დინამოზე" არაფერს ვამბობ.

— ისევ „სამტრედიაზე" ვისაუბროთ. წელან ვთქვით, გუნდმა სერიოზული ძალა დაკარგა, თუმცა, შევსებაც სოლიდური იყო...

— ახლებზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. დღეს საქართველოში ბესიკ ბერაძეზე ძლიერი მარცხენა მცველი არ მეგულება. ვალტერი გუჩუა ახალგაზრდა, ნიჭიერი და დიდი მომავლის მქონე მოთამაშეა. კარგად მახსოვს მისი თამაში შარშან. ფიზიკურად იმთავითვე ძლიერი, ენერგიულობითაც გამოირჩეოდა, მაგრამ ცოტა ოსტატობა აკლდა, რაც უკვე შეიძინა. გიორგი დარასელია დახვეწილი მოთამაშეა, კარგი ორგანიზატორი. მისი ნათესავი, ბადრი დარასელია იხ იყო, ფორმაში შედიოდა, რომ უბედურება შეემთხვა. ბუბა ტყავაძეზე რა უნდა ვთქვა? სულ ერთი შეხვედრა ჩაატარა და ისეთი ტრავმა მიიღო, ზოგიერთები ამის გამო ფეხბურთს თავს ანებებენ. კიდევ კარგი, უკვე ვარჯიშობს. ახლახან „ანჯელიდან" გოჩა რუხაძე დაგვემატა და, ვფიქრობ, მასაც შეუძლია ჩვენი დახმარება. დახმარება კი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში აუცილებლად დაგვჭირდება. მივაღწევთ თუ არა, ეს უმთავრესად ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ჩემპიონობაზე ფიქრობ, შესაბამისი მოსამზადებელი და საცხოვრებელი პირობებია საჭირო.

— „დინამოსთან" წაგება საკმაოდ მტკივნეული იყო თქვენთვის...

— თანაც პირველ სეზონში... მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს საბოლოო დამარცხებას არ ნიშნავს — მეორე წრეში ხომ „დინამოს" სამტრედიაში ვმასპინძლობთ.

... შესავალში აღვნიშნე, წელს ზურას თამაშში რაციონალიზმმა იმატა-მეთქი. თურმე, მისთვის მისაბაძი მოთამაშე კლინსმანი ყოფილა, რომელიც სწორედაც რაციონალური ფეხბურთელის ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ...

— კლინსმანს მინდა მივბაძო, საოცარი თავდამსხმელია, პანტა-პუნტით გაჰქონდა და გააქვს გოლები.

— მერედა გამოგდის?

— ვცდილობ და ვნახოთ, რა გამოვა. იცი რა მომწონს ამ გერმანელში? ძალიან ბევრს მოძრაობს. მაშინაც კი, როდესაც ბურთი გაჩერებულია. მე რომ ნორმალურად ვივარჯიშო, კლინსმანის დონეზე, — რა თქმა უნდა, ვერ ვითამაშებ, მაგრამ რაიმეს მაინც მივაღწევ. რაც უნდა იყოს, კლინსმანი სწორედ შრომით გახდა ვარსკვლავი.

— სხვა კლუბში თუ გიწვევენ?

— კონკრეტულს ვერაფერს გეტყვი, ისე კი ვიცი, რომ დაინტერესებულები არიან რუსეთში. საქართველოში კი, თბილისის „დინამოს" გარდა არც ერთი სხვა არ მაინტერესებს.

— ხშირად მწვრთნელები „დინამოსთან" მარცხს ფსიქოლოგიური, „დინამოს" კომპლექსით ხსნიან. იქნებ რეალურად ეს კლასის არქონით აიხსნება?

— სხვისი არ ვიცი და, პირადად ჩემზე არც მეტოქეთა სახელი მოქმედებს და არც მათი კლასი. შიშით მაშინაც არ მითამაშია, როდესაც „სამგურალში" გამოვდიოდი. მახსოვს, „დინამოს" 2:1 მოვუგეთ. მაშინ ბესიკ ბერაძე წყალტუბოში თამაშობდა, „დინამოში" კი თითქმის დღევანდელი საქართველოს ნაკრები: კუდინოვი, არველაძეები, ყაველაშვილი, ნემსაძე, ინალიშვილი, ჩიქოვანი, ყველა არც მახსენდება. საერთოდ, მოედანზე შიშით თუ გადიხარ, ვერასოდეს ითამაშებ კარგად. ამას ისა სჯობს, შინ წახვიდე და ტელევიზორში უყურო ფეხბურთს.

— რა არის შენი ნატვრა?

— ის, რაც ყველა ფეხბურთელს სურს — დიდი ფეხბურთის თამაში.

— ახლა პატარა ფეხბურთს თამაშობ?

— არა, მაგრამ, დიდ ფეხბურთში ევროპაში თამაშს ვგულისხმობ... ისე, კაცმა რომ თქვას, საქართველოში რა დიდ ფეხბურთს ვთამაშობთ? ვიცი, აქედან წასულს სხვაგან გამიჭირდება თამაში, უნდა შევძლო. რაც უნდა იყოს, ეს ჩემი ოცნებაა.

მერაბ მამულაშვილი

## მთლად კომუნიზმს ვერ შევპირდები

ახლახან იყო, რუსთავის „მეტალურგში" შექმნილი მძიმე ვითარების თაობაზე რომ ვწერდით. როდესაც „დინამო" — „სამტრედიის" მატჩზე გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს იასონ ალადაშვილს შევხვდი, სიმართლე რომ ვთქვა, ზრდილობის გულისთვისღა, ისე, როგორც ჭირსუფლებს მოიკითხავენ ხოლმე მწუხარების გასაზიარებლად, დავეკითხე, რა ამბებია, მეტალურგში-მეთქი. ჩემდა გასაკვირად და სასიხარულოდ, ვითარება შეცვლილა და შეცვლილა უკეთესობისკენ: მწვრთნელის თქმით, ქალაქის მერს, მერაბ ტყეშელაშვილს გუნდისთვის წყალობის თვალით გადმოუხედავს, თანხაც გამოუყვია და ამ საქმის კურატორად კაციც მოუვლენია რუსთავის მერიიდან. გასასტუმრებელი ხელფასებისა და პრემიების საქმეც მალე გადაწყდება და მეორე წრისთვის „მეტალურგის" მოთამაშეებს კომუნიზმში თუ არა, განვითარებულ სოციალიზმში ცხოვრება მაინც მოუწევთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთია მერის დაპირებანი.

## შვეიცარია

21-ე ტური. იანგ ბოიზი — სიონი 0:1, არაუ — ლოზანა 3:0, ციურიხი — ლუგანო 1:2, სერვეტი — ლუცერნი 1:0, ქსამაქსი — გრასჰოპერი 2:1, ბაზელი — სენტ გალენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 21 | 13 | 4 | 4 | 37:19 | 43 |
| სიონი | 21 | 13 | 3 | 5 | 35:25 | 42 |
| ქსამაქსი | 21 | 12 | 4 | 5 | 39:23 | 40 |
| ლუცერნი | 21 | 10 | 7 | 4 | 33:23 | 37 |
| ბაზელი | 21 | 8 | 3 | 10 | 20:28 | 27 |
| არაუ | 21 | 7 | 5 | 9 | 36:27 | 26 |
| სენტ გალენი | 21 | 6 | 8 | 7 | 26:24 | 26 |
| ლოზანა | 21 | 6 | 8 | 7 | 24:24 | 26 |
| სერვეტი | 21 | 6 | 7 | 8 | 26:28 | 25 |
| ლუგანო | 21 | 5 | 6 | 10 | 21:40 | 21 |
| ციურიხი | 21 | 4 | 6 | 11 | 17:30 | 18 |
| იანგ ბოიზი | 21 | 3 | 5 | 13 | 12:35 | 14 |

## ბელგია

18-ე ტური. ლომელი — სტანდარდი 1:0; ანტვერპენი — სერკლ ბრიუგე 0:1; ბევერენი — მოლენბეკი 1:1; სერენი — სენტ ტრიუდენი 1:2; მეხელენი — შარლერუა 1:2; გენტი — ვარეგემი 0:0; პარელბეკი — ლიერსი 2:3; ბრიუგე — ეკერენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 18 | 11 | 5 | 2 | 39:14 | 38 |
| ანდერლეხტი | 18 | 11 | 3 | 4 | 40:19 | 36 |
| ლიერსი | 18 | 10 | 6 | 2 | 34:21 | 36 |
| მოლენბეკი | 18 | 7 | 7 | 4 | 19:16 | 28 |
| შარლერუა | 18 | 7 | 7 | 4 | 34:33 | 28 |
| სერკლ ბრიუგე | 18 | 6 | 9 | 3 | 24:24 | 27 |
| მეხელენი | 18 | 7 | 5 | 6 | 23:27 | 26 |
| სტანდარდი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:20 | 25 |
| პარელბეკი | 18 | 7 | 2 | 9 | 22:24 | 23 |
| აალსტი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:27 | 23 |
| ეკერენი | 18 | 5 | 7 | 6 | 28:23 | 22 |
| ანტვერპენი | 18 | 6 | 3 | 9 | 25:27 | 21 |
| გენტი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:25 | 21 |
| სენტ ტრიუდენი | 18 | 5 | 5 | 8 | 22:31 | 20 |
| ლომელი | 18 | 5 | 4 | 9 | 21:29 | 19 |
| ბევერენი | 18 | 4 | 6 | 8 | 18:24 | 18 |
| ვარეგემი | 18 | 3 | 5 | 10 | 16:33 | 14 |
| სერენი | 18 | 3 | 4 | 11 | 21:38 | 13 |

## ინგლისი

გამოტოვებული მატჩი. ნოტინგემი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:1;

16-ე ტური. ლივერპული — საუთჰემპტონი 1:1; ტოტენჰემი — ევერტონი 0:0; ლიდსი — მანჩესტერ სიტი 0:1; მანჩესტერ იუნაიტ — ჩელსი 1:1; ბლექბერნი — ვესტ ჰემი 4:2; ასტონ ვილა არსენალი 1:1; ბოლტონი — ნოტინგემი 1:1; ქუინზ პარკ რეინჯერსი — მიდლსბრო 1:1; უიმბლდონი — ნიუკასლი 3:3, შეფილდი — ქოვენთრი წუხელ გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 16 | 12 | 3 | 1 | 36:14 | 39 |
| მანჩესტერ იუნ. | 16 | 10 | 4 | 2 | 33:15 | 34 |
| არსენალი | 16 | 8 | 5 | 3 | 22:11 | 29 |
| ასტონ ვილა | 16 | 8 | 4 | 4 | 20:12 | 28 |
| ტოტენჰემი | 16 | 7 | 6 | 3 | 22:17 | 27 |
| მიდლსბრო | 16 | 7 | 6 | 3 | 15:10 | 27 |
| ნოტინგემი | 15 | 6 | 8 | 1 | 25:22 | 26 |
| ლივერპული | 16 | 7 | 4 | 5 | 28:15 | 25 |
| ლიდსი | 15 | 7 | 3 | 5 | 20:17 | 24 |
| ბლექბერნი | 16 | 6 | 3 | 7 | 27:19 | 21 |
| ჩელსი | 16 | 5 | 6 | 5 | 15:18 | 21 |
| ევერტონი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:19 | 20 |
| ვესტ ჰემი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:20 | 20 |
| საუთჰემპტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:26 | 16 |
| მანჩესტერ სიტი | 16 | 4 | 3 | 9 | 8:22 | 15 |
| შეფილდი | 15 | 3 | 5 | 7 | 14:20 | 14 |
| უიმბლდონი | 16 | 3 | 4 | 9 | 22:36 | 13 |
| ქუინზ პარკი | 16 | 3 | 3 | 10 | 12:24 | 12 |
| ბოლტონი | 16 | 2 | 3 | 11 | 15:31 | 9 |
| ქოვენთრი | 15 | 1 | 6 | 8 | 14:32 | 9 |

## ჰოლანდია

მე-15 ტური. როდა — ფორტუნა 1:1; პსვ — სპარტა 1:2; გრააფდსხაპი — უტრეხტი 3:0; ვოლენდამი — ჰერენვეენი 1:1; ტვენტე — ვიტესი 1:0; გრონინგენი — ნაიმეგენი 0:0; ვალვაიკი — გოუ ეჰედი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 15 | 14 | 1 | 0 | 55:5 | 43 |
| პსვ | 16 | 12 | 2 | 2 | 53:11 | 38 |
| ვილემ II | 15 | 7 | 6 | 2 | 35:18 | 27 |
| სპარტა | 16 | 8 | 3 | 5 | 24:25 | 27 |
| ჰერენვეენი | 16 | 6 | 8 | 2 | 26:24 | 26 |
| როდა | 16 | 6 | 7 | 3 | 18:17 | 25 |
| ბრედა | 15 | 6 | 6 | 3 | 26:13 | 24 |
| ფეიენოორდი | 15 | 6 | 4 | 5 | 34:26 | 22 |
| გრონინგენი | 16 | 6 | 4 | 6 | 24:29 | 22 |
| ვალვაიკი | 16 | 6 | 3 | 7 | 20:24 | 21 |
| ვიტესი | 16 | 5 | 5 | 6 | 25:28 | 20 |
| ტვენტე | 16 | 5 | 5 | 6 | 21:27 | 20 |
| ფორტუნა | 16 | 4 | 4 | 8 | 14:31 | 16 |
| ვოლენდამი | 16 | 3 | 5 | 8 | 14:33 | 14 |
| ნაიმეგენი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:41 | 12 |
| უტრეხტი | 16 | 2 | 5 | 9 | 14:31 | 11 |
| გრააფდსხაპი | 16 | 2 | 4 | 10 | 17:38 | 10 |
| გოუ ეჰედი | 16 | 1 | 5 | 10 | 20:34 | 8 |

## ესპანეთი

15-ე ტური. სალამანკა — ტენერიფე 1:2; კომპოსტელა — ალბასეტე 3:1; რაიო ვალეკანო — ესპანიოლი 1:0; რეალი — სევილია 4:1; ბარსელონა — სანტანდერი 1:1; ვალენსია — სოსიედადი 0:1; ბეტისი — ატლეტიკო 2:1; ოვიედო — ხიხონი 1:0; სარაგოსა — სელტა 0:0; მერიდა — დეპორტივო 0:2; ატლეტიკი — ვალიადოლიდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 15 | 10 | 3 | 2 | 25:6 | 33 |
| ბარსელონა | 15 | 9 | 5 | 1 | 35:12 | 32 |
| ესპანიოლი | 15 | 9 | 4 | 2 | 21:8 | 31 |
| კომპოსტელა | 15 | 8 | 3 | 4 | 22:18 | 27 |
| რეალი | 15 | 7 | 4 | 4 | 27:18 | 25 |
| ბეტისი | 15 | 6 | 7 | 2 | 23:16 | 25 |
| ვალენსია | 15 | 7 | 3 | 5 | 24:22 | 24 |
| ატლეტიკი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:17 | 22 |
| დეპორტივო | 15 | 6 | 3 | 6 | 20:14 | 21 |
| ხიხონი | 15 | 6 | 2 | 7 | 20:17 | 20 |
| ტენერიფე | 15 | 4 | 8 | 3 | 22:25 | 20 |
| ოვიედო | 15 | 5 | 4 | 6 | 17:23 | 19 |
| სოსიედადი | 15 | 5 | 3 | 7 | 18:24 | 18 |
| სევილია | 15 | 4 | 5 | 6 | 16:24 | 17 |
| სანტანდერი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:24 | 17 |
| სალამანკა | 15 | 4 | 4 | 7 | 17:20 | 16 |
| სარაგოსა | 15 | 4 | 4 | 7 | 8:17 | 16 |
| სელტა | 15 | 3 | 6 | 6 | 14:20 | 15 |
| მერიდა | 15 | 3 | 5 | 7 | 11:19 | 14 |
| რაიო ვალეკანო | 15 | 4 | 2 | 9 | 15:24 | 14 |
| ალბასეტე | 15 | 3 | 3 | 9 | 15:27 | 12 |
| ვალიადოლიდი | 15 | 2 | 5 | 8 | 14:21 | 11 |

## საფრანგეთი

მე-20 ტური. გენიონი — ოსერი 0:0; სენტ ეტიენი — ბორდო 2:0; ბასტია — ლილი 4:0; გენგამი — პსჟ 0:0; მონაკო — ნიცა 1:0; ნანტი — მარტიგი 3:0; ლანსი — მეცი 2:0; კანი — რენი 3:0; მონპელიე — ლიონი 2:1; ლე ავრი — სტრასბური 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 20 | 12 | 6 | 2 | 38:16 | 42 |
| ლანსი | 20 | 9 | 9 | 2 | 24:13 | 36 |
| ოსერი | 20 | 11 | 2 | 7 | 37:21 | 35 |
| მეცი | 20 | 9 | 7 | 4 | 18:13 | 34 |
| ნანტი | 20 | 8 | 9 | 3 | 24:17 | 33 |
| გენგამი | 20 | 8 | 9 | 3 | 16:12 | 33 |
| სტრასბური | 20 | 8 | 7 | 5 | 28:18 | 31 |
| მონპელიე | 20 | 8 | 6 | 6 | 28:25 | 30 |
| ბასტია | 20 | 9 | 3 | 8 | 30:28 | 30 |
| მონაკო | 20 | 8 | 5 | 7 | 29:26 | 29 |
| რენი | 20 | 8 | 5 | 7 | 24:25 | 29 |
| ლე ავრი | 20 | 7 | 5 | 8 | 17:25 | 26 |
| ნიცა | 20 | 7 | 4 | 9 | 23:24 | 25 |
| ბორდო | 20 | 6 | 4 | 10 | 21:27 | 22 |
| სენტ ეტიენი | 20 | 5 | 7 | 8 | 25:33 | 22 |
| ლიონი | 20 | 4 | 9 | 7 | 18:22 | 21 |
| კანი | 20 | 4 | 4 | 12 | 22:35 | 16 |
| ლილი | 20 | 3 | 7 | 10 | 14:28 | 16 |
| გენიონი | 20 | 2 | 9 | 9 | 13:25 | 15 |
| მარტიგი | 20 | 4 | 3 | 13 | 14:30 | 15 |

## გერმანია

მე-16 ტური. ლევერკუზენი — ფრაიბურგი 0:1; ვერდერი — კიოლნი 0:1; დორტმუნდი — მიუნხენი 3:1; ბაიერნი — შალკე 4:0; აინტრახტი — დიუსელდორფი 3:0; შტუტგარტი — ჰამბურგი 3:0; ზანქტ პაული — კარლსრუე 1:1; ბორუსია — ურდინგენი 2:1; ჰანზა — კაიზერსლაუტერნი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 16 | 11 | 4 | 1 | 43:20 | 37 |
| ბაიერნი | 16 | 11 | 2 | 3 | 34:18 | 35 |
| ბორუსია | 16 | 9 | 1 | 6 | 28:27 | 28 |
| ჰანზა | 16 | 6 | 7 | 3 | 28:19 | 25 |
| ლევერკუზენი | 16 | 6 | 7 | 3 | 22:14 | 25 |
| შტუტგარტი | 16 | 6 | 7 | 3 | 36:30 | 25 |
| ჰამბურგი | 16 | 5 | 8 | 3 | 24:22 | 23 |
| შალკე | 16 | 5 | 7 | 4 | 19:22 | 22 |
| აინტრახტი | 16 | 5 | 5 | 6 | 28:28 | 20 |
| კარლსრუე | 16 | 4 | 6 | 6 | 22:27 | 18 |
| ზანქტ პაული | 16 | 4 | 5 | 7 | 22:27 | 17 |
| ვერდერი | 16 | 3 | 8 | 5 | 16:21 | 17 |
| ფრაიბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:22 | 16 |
| მიუნხენი | 16 | 3 | 6 | 7 | 18:26 | 15 |
| ურდინგენი | 16 | 2 | 8 | 6 | 13:17 | 14 |
| კაიზერი | 16 | 2 | 8 | 6 | 17:24 | 14 |
| კიოლნი | 16 | 2 | 8 | 6 | 15:22 | 14 |
| დიუსელდორფი | 16 | 2 | 7 | 7 | 16:31 | 13 |

## შოტლანდია

ტური. ჰართსი — რეინჯერსი 0:2; მოზერველი — ჰიბერნიანი 0:2; სელტიკი — კილმარნოკი 4:2; პარტიკ თისლი — აბერდინი 1:0; ფალკირკი — რეის როვერსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 16 | 12 | 3 | 1 | 36:10 | 39 |
| სელტიკი | 16 | 10 | 5 | 1 | 30:15 | 35 |
| ჰიბერნიანი | 16 | 8 | 4 | 4 | 27:21 | 28 |
| რეის როვერსი | 16 | 6 | 3 | 7 | 19:23 | 21 |
| აბერდინი | 15 | 6 | 2 | 7 | 22:19 | 20 |
| ჰართსი | 16 | 5 | 3 | 8 | 22:30 | 18 |
| მოზერველი | 16 | 3 | 8 | 5 | 14:18 | 17 |
| ფალკირკი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:23 | 15 |
| პარტიკ თისლი | 16 | 3 | 4 | 9 | 11:27 | 13 |
| კილმარნოკი | 15 | 3 | 3 | 9 | 16:25 | 12 |

## იტალია

მე-12 ტური. 3 დეკემბერი

### ლაციო 0:1 მილანი

60 000 მაყურებელი

ლაციო: მანჩინი, ნესტა, ფავალი, დი მატეო (მარკოლინი 46), ნეგრო, ბერგოდი, რამბაუდი (ესპოზიტო 83), ფუზერი, კაზირაგი, ვინტერი, სინიორი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი (ამბროზინი 30), კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო, დესაი, ვეა, რ. ბაჯო (კოკო 70), სავიჩევიჩი (დი კანიო 87)

გოლი: ვეა (86)

გაფრთხილება: კაზირაგი, ერანიო, კოსტაკურტა

### პადოვა 0:1 ფიორენტინა

15 069 მაყურებელი

პადოვა: ბონაიუტი, სკონციანო (ნავა 57), გაბრიელი, ჯამპიეტრო, კუიჩი, როზა, კრეეკი (ფიორე 85), კოპოლა, ვლაოვიჩი (ვან უტრეხტი 75), ლონგი, ამორუზო

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი (რობიატი 66), სერენა, პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა, ბატისტუტა, რუი კოშტა, ბაიანო (ბანკელი 89)

გოლი: ბატისტუტა (94)

გაფრთხილება: ჯამპიეტრო, კოპოლა, ბიჯიკა, ბატისტუტა

გაძევება: კუიჩი (50)

### ინტერი 2:0 კრემონეზე

30 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, პიქსტონე, კარლოსი (ბიანკი 60), ფრეზი, ბერგომი, ფესტა, ძანეტი, დელ ანო, ბრანკა (კაიო 70), გ. კარბონე, განცი (მანიკონე 78)

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ჯანდებიაჯი, დე აგოსტინი, გუალკო, ვერდელი, პეტრაკი (კრისტიანი 46), პეროვიჩი (ტენტონი 46), ფლორიანჩიჩი, მასპერო, ალოიზი

გოლი: ძანეტი (18), განცი (43)

გაფრთხილება: ბრანკა, განცი, მასპერო, გარსია

გაძევება: ფესტა (3), დე აგოსტინი (86)

### ნაპოლი 1:1 პარმა

45 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, ტარანტინო, პარი, აიალა (კოლონეზე 61), კრუსი, ბუზო, ბოლოსიანი, აგოსტინი, პიცი, ლონგო (პოლიკანო 69)

პარმა: ბუფონი, მუსი, ბენარივო (დი კიარა 84), კოუტუ, კანავარო, მინოტი (კრიპა 46), სენსინი, დ. ბაჯო, მელი, ძოლა, ასპრილია (კატანეზე 85)

გოლი: პიცი (38), ძოლა (52 პ)

გაფრთხილება: პიცი, ტარანტინო, ბუზო, კანავარო, კატანეზე, დ. ბაჯო, კოუტუ

### ბარი 1:3 სამპდორია

35 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა, მონტანარი, პ. ანონი (პარენტე 46), ინგესონი, რიპა, რიჩი, გაუტიერი, უერსონი (ფიკინი 65), ვენტოლა (ანდერსონი 65), პედონე, პროტი

სამპდორია: პაგოტო, ბალერი, პეზარეზი, მიხაილოვიჩი, ფერი (ლამონიკა 65), საკეტი, კარემბო, ზეედორფი, კიეზა (ბელუჩი 85), სალსანო, ინვერნიცი

გოლი: კიეზა (27, 36, 77), პროტი (47 პ)

გაფრთხილება: პარენტე, ზეედორფი, პეზარეზი

### პიაჩენცა 1:1 კალიარი

11 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, ლორენცინი, დი ფრანჩესკო, მაკოპი, ლუჩი (მ. კონტე 91), პიოვანი, მორეტი, კაჩა, ა. კარბონე, კაპელინი (ტრაპელა 58)

კალიარი: ფიორი, ვილა, პანკარო, ბრესანი (სანა 74), ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, ვენტურინი, სილვა, ო ნილი (მუცი 61), ოლივეირა

გოლი: კაჩა (53), ოლივეირა (57)

გაფრთხილება: მორეტი, კაჩა, ვილა, ო ნილი

### უდინეზე 1:1 რომა

15 000 მაყურებელი

უდინეზე: ბატისტინი, პელეგი, სერჯო (სტროპა 60), ამეტრანო (ბერტოტო 67), კალორი, ბია, როსიტო, დეზიდერი, ბირჰოფი, შალიმოვი, ბორგონოვო (მატრეკანო 75)

რომა: ჩერვონე, კაპიოლი, კარბონი, პეტრუცი (ე. ანონი 25), ალდაირი, ლანა, სტატუტო (ტოტი 67), დი ბიაჯო (მორიერო 65), ბალბო, ტერნი, დელვეკიო

გოლი: ბირჰოფი (64), ბალბო (89)

გაფრთხილება: ამეტრანო, როსიტო, დეზიდერი, დელვეკიო, კარბონი, ალდაირი, ანონი

### ატალანტა 3:1 ვიჩენცა

18 841 მაყურებელი

ატალანტა: ფერონი (პინატო 56), პავონე (სალვატორი 46), ა. პაგანინი, ერერა, ბოზელი, მონტერო, სგრო, გალო, ტოვალიერი, ფორტუნატო, მორფეო (ბანკი 77)

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, გროსი, დი კარლო, ბიორკლუნდი, ლოპესი, ამბროზეტი, მ. როსი (ლომბარდინი 46), მურჯიტა, მაინი, ოტერო

გოლი: ტოვალიერი (9, 31), მაინი (25), მორფეო (50)

გაფრთხილება: გროსი

### იუვენტუსი 5:0 ტორინო

29 352 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, ტორიჩელი, სოუზა (იუგოვიჩი 70), კარერა, ტაკინარდი, დი ლივიო, დეშამპი, ვიალი (პადოვანო 80), დელ პიერო, რავანელი (პესოტო 70)

ტორინო: დოარდო, ანგლომა, მილანეზე, დალ კანტო (კრავერო 52), ბაჩი, მალტალიატი, სოლიანო (ბერნარდინი 18), კრისტალინი, რიციტელი, პელე, კარიჩი (დიონიგი 61)

გოლი: ვიალი (2, 25, 42), ფერარა (47), რავანელი (66 პ)

გაფრთხილება: ტორიჩელი, კრისტალინი, ბაჩი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 12 | 8 | 3 | 1 | 20-9 | 27 |
| პარმა | 12 | 6 | 5 | 1 | 18-11 | 23 |
| ფიორენტინა | 12 | 7 | 1 | 4 | 18-13 | 22 |
| ატალანტა | 12 | 6 | 4 | 2 | 17-13 | 22 |
| იუვენტუსი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-11 | 21 |
| ლაციო | 12 | 5 | 4 | 3 | 18-11 | 19 |
| ინტერი | 12 | 4 | 6 | 2 | 14-8 | 18 |
| ნაპოლი | 12 | 4 | 6 | 2 | 12-10 | 18 |
| სამპდორია | 12 | 4 | 5 | 3 | 17-13 | 17 |
| რომა | 12 | 4 | 5 | 3 | 13-10 | 17 |
| უდინეზე | 12 | 4 | 4 | 4 | 12-12 | 16 |
| ვიჩენცა | 12 | 4 | 4 | 4 | 11-11 | 16 |
| კალიარი | 12 | 4 | 2 | 6 | 10-15 | 14 |
| პიაჩენცა | 12 | 3 | 3 | 6 | 12-23 | 12 |
| ტორინო | 12 | 2 | 4 | 6 | 8-19 | 10 |
| ბარი | 12 | 2 | 2 | 8 | 16-26 | 8 |
| კრემონეზე | 12 | 1 | 3 | 8 | 9-20 | 6 |
| პადოვა | 12 | 1 | 2 | 9 | 10-21 | 5 |

ბომბარდირები: პროტი (ბარი) — 9, ბირჰოფი (უდინეზე) — 8, ვიალი (იუვენტუსი) — 7, ამორუზო (პადოვა), ბატისტუტა (ფიორენტინა), კაჩა (პიაჩენცა), ძოლა (პარმა) — 6-6

### სერია B

ჯენოა — ბოლონია 0:1
ნერვო (8)
ლუკეზე — აველინო 1:0
პაკი (2)
პერუჯა — პესკარა 2:1
ბრიასკი (15), ჯუნტი (79); კარნევალე (17)
პისტოიეზე — ფ. ანდრია 1:1
მონტრონე (53); ჯამპაოლო (41)
რეჯანა — კიევო 1:0
ტანგორა (83)
რეჯინა — ბრეშია 2:1
პაზინი (52), ალიეტი (60); ლუნინი (27)
ვერონა — სალერნიტანა 1:0
ბარონი (32)
ანკონა — [illegible] 1:2
ჩეზენა — [illegible] 0:0
პალერმო — [illegible] 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 14 | 7 | 4 | 3 | 17-11 | 25 |
| ჯენოა | 14 | 7 | 3 | 4 | 25-16 | 24 |
| ბრეშია | 14 | 6 | 4 | 4 | 22-14 | 22 |
| ბოლონია | 14 | 5 | 7 | 2 | 12-8 | 22 |
| სალერნიტანა | 14 | 6 | 3 | 5 | 14-9 | 21 |
| პალერმო | 14 | 4 | 9 | 1 | 11-8 | 21 |
| პესკარა | 14 | 6 | 3 | 5 | 19-22 | 21 |
| ანკონა | 14 | 6 | 2 | 6 | 21-18 | 20 |
| რეჯანა | 14 | 5 | 5 | 4 | 15-16 | 20 |
| ჩეზენა | 14 | 5 | 4 | 5 | 23-17 | 19 |
| პერუჯა | 14 | 4 | 6 | 4 | 16-14 | 18 |
| კოზენცა | 14 | 3 | 8 | 3 | 13-14 | 17 |
| აველინო | 14 | 5 | 2 | 7 | 13-18 | 17 |
| რეჯინა | 14 | 3 | 7 | 4 | 10-19 | 16 |
| ფ. ანდრია | 14 | 3 | 6 | 5 | 14-18 | 15 |
| ლუკეზე | 14 | 3 | 6 | 5 | 11-17 | 15 |
| ვენეცია | 14 | 3 | 6 | 5 | 10-16 | 15 |
| ფოჯა | 14 | 3 | 6 | 5 | 9-15 | 15 |
| პისტოიეზე | 14 | 3 | 5 | 6 | 15-16 | 14 |
| კიევო | 14 | 1 | 8 | 5 | 11-15 | 11 |

ბომბარდირები: არტისტიკო (ანკონა), მონტელა (ჯენოა), ჰუბნერი (ჩეზენა) — 11-11

## ვეა და სხვა ზანგები

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ გამოარკვია, ვინ იყო წლეულს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი. 45 ქულით ყველას „მილანის" თავდამსხმელმა ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ აჯობა. მეორე ადგილზე 30 ქულით „ნანტის" ჩადელი ფორვარდი ჯაფეტ ნდორამი გავიდა. მესამეზეა ნიგერიელი აიაქსელი ჟორჟ ფინიდი, მეოთხეზე — „ლიდს იუნაიტედის" განელი ანტონი იებოა. მეხუთე ადგილზე ორი მოთამაშე გავიდა, „აიაქსის" ნვანკიო კანუ და ლისაბონის „სპორტინგის" ემანუელ ამუნიკე, რომელიც შარშან საუკეთესო იყო. მეშვიდეზეა დანიელ ამოკაში „ევერტონიდან".

## ვინ აღმოჩნდება ტლაპოში?

იტალიის სენატმა [illegible] კანონი მიიღო. მისი გადაწყვეტილებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქე სპორტსმენები იტალიურ კლუბებში უცხოელებად აღარ ჩაითვლებიან. ამგვარად, ის წესი, რომლის თანახმადაც გუნდს მოედანზე ერთბაშად სამ უცხოელზე მეტის გაყვანა არ შეეძლო, ერთობ სიმბოლური გახდა. მაგალითისთვის ყბადაღებულ „მილანს" განიხილავენ. გამოდის, რომ მილანის გუნდს უკვე შეუძლია ერთდროულად ათამაშოს ჟორჟ ვეა (ფრანგული პასპორტი აქვს), მარსელ დესაი, პატრიკ ვიეირა და პაულუ ფუტრე. ამით მიემატება ორი იტალიური გაგებით უცხოელი ზვონიმირ ბობანი და დეიან სავიჩევიჩი, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან არ არიან და გამოდის, რომ თუ ფაბიო კაპელომ ასეთი შემადგენლობით თამაში ისურვა, ამ გუნდის თერთმეტ ფეხბურთელს შორის ნაღდი იტალიელი ხუთიღა იქნება. ეს დღეს, ხვალ კი ვინ იცის, მდიდარი კლუბების მეპატრონეებმა უფრო მეტი ესპანელი, ფრანგი, პორტუგალიელი თუ სხვა ევროკავშირელი იყიდონ და გასაკვირი არ იქნება, ერთ მშვენიერ დღეს იტალიის რომელიმე გუნდი სრულიად უიტალიელოდ რომ ათამაშდეს.

ახალი კანონი, ცხადია, ყველაზე მტკივნეულად საფეხბურთო სამყარომ მიიღო, თუმცა იგი კალათბურთელებს, ხელბურთელებს, ფრენბურთელებს და სხვებსაც ეხებათ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ და ოლიმპიურმა კომიტეტმა მყისვე სასტიკად დაგმეს სენატორთა ახალი კანონი, მაგრამ დაგმობა ერთია და დაუმორჩილებლობა მეორე. ამას სპორტის მესვეურნი, ცხადია, არ და ვერ მიმართავენ. ისიც სათქმელია, რომ კანონი სენატმა კი მიიღო, მაგრამ პარლამენტის ქვედა პალატას ის ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, თანაც უეფას შეჯიბრებებში, რა თქმა უნდა, არ იმოქმედებს.

ამგვარად, ევროპულ ფეხბურთს, ევროკავშირისა და მისი ინტეგრაციისადმი ლტოლვის გადამკიდეს, დიდი ომი ელის. ჯერ ბოსმანის საქმე არ გარკვეულა და აგერ იტალიის სენატმა ახალი „ცხელი წერტილი" შექმნა. ამ, კარგი ცხოვრებისგან გასუქებული და კეთილმოწყობილი ქვეყნების ხუშტურების შემხედვარეთ რა გვეშველება ფიფა-უეფაში ერთი-ორი წლის გაწევრიანებულ გლახაკებს, ალბათ, იანვარში, ევროსასამართლოში ბოსმანის საქმის გარჩევისას გაირკვევა. თუმცა, შესაძლოა, თავად „მსუქნებმაც" დიდ ტლაპოში ამოჰყონ თავი. ერთი კი ფაქტია, ყველაზე მეტად დაჩაგრულნი მთელს კონტინენტზე გულშემატკივრები დარჩებიან.



# პირველი რაუნდი ჩემპიონმა მოიგო

გუშინ საქართველოს ჩემპიონატში ერთხელისუფლებიანობა უნდა დამყარებულიყო. ვინ მოექცეოდა სათავეში სატურნირო ცხრილს — გასარკვევი გახლდათ. ისიც საინტერესო იყო, რამდენად შეძლებდა გაძლიერებულ-განახლებული „დინამო" ჩემპიონობაზე პირველი სერიოზული განაცხადის გაკეთებას. ფსიქოლოგიური უპირატესობა მის მხარეს იყო — „ვითამ" ორი დღის წინ დამატებით დროში ძლივს მოუგო „კაქტუსს", თანაც მთავარი ძალა — ნიკოლოზ დერიუგინი არ ჰყავდა: ვეტერანი კალათბურთელი წნევას შეუწუხებია. არც დინამოელთა რიგებში იყო ყველა მთლად ჯანმრთელად — ფეხმტკივანებმა — დარსაძემ და ბერძენიშვილმა ამ ტურში პირველად წინა დღეს ითამაშეს. ამასთან „დინამო" მატჩზე პირდაპირ ბაზიდან მოვიდა ავტობუსით. მოთელვაზე გუნდი ფიზმომზადების ცნობილმა მწვრთნელმა იური სტადუხინმა გაიყვანა, ვისაც აგრერიგად ემადლიერებიან ფეხბურთელები. ის კი არა, რამდენიმე დინამოელი ფეხბურთელი ტრიბუნებზეც შევნიშნეთ. ისინი ოჯახებით მოსულიყვნენ კალათბურთელი თანამოძმეების მხარდასაჭერად.

ამ ბოლო ხანს „დინამოში" მეტად დაწინაურდა ჯეელი მსროლელი ირაკლი მაისურაძე. „ვითას" წარმატების მისაღწევად აუცილებლად დასჭირდებოდა მისი დაკეტვა. ამისთვის ირაკლის მეორე ირაკლი — მრისხანე მცველი ბაქრაძე აედევნა, მაგრამ დიდი შრომა არ დაადგა — მაისურაძემ ერთხელ ჩააგდო მარცხენა ფრთიდან სამქულიანი, მომდევნო შეტევაში კი შენგელიამ შემთხვევით ფეხზე დააბიჯა. დინამოელს კოჭი ეტკინა და მოედნიდან გავიდა. რამდენჯერმე უკანაც დააბრუნა, მაგრამ კოჭლობდა და თავი სრულად ვერ გამოავლინა.

„ვითამ" თამაში შენგელიაზე ააწყო. ერთთავად ფარქვეშ აძლევდნენ ბურთს და ამასაც ხეირი მოჰქონდა. სამაგიეროდ, დინამოელებმა უფრო ეფექტიანი ტაქტიკა აირჩიეს — ბურთს სწრაფად ათამაშებდნენ და, ან გარღვევის, ან სამქულიანის იმედად დარჩნენ. ამ ხერხმა ერთხანს გაჭრა — ულენტი ჭკვიანურად დაძვრებოდა მეტოქეთა შორის, ხოლო ცხვედიანს ძველი დრო გაახსენდა და რთული მდგომარეობიდან ორჯერ ჩააგდო სამქულიანი. ამის წყალობით „დინამო" 7 ქულით დაწინაურდა — 18:11.

ლიპარტელიანმა თითქმის ერთდროულად შემოუშვა ტურაშვილი, დადიანი და კობეშავიძე. ვინ იფიქრებდა, რომ ამის მერე „ვითა" შორიდან სროლებს არ მიეძალებოდა. პირიქით, სცენარი იგივე დარჩა — პასები შენგელიას, რომელმაც ფარქვეშ დაჩაგრა ბერძენიშვილი. დინამოელმა ცენტრმა ერთი-ორი სამაგიერო ვითელ კოლეგას გადუხადა და თან, პერსონალურებიც მიაღებინა. ამიტომაც იყო, რომ ბერძენიშვილი დაცვაში ქარაბაკმა გადაიბარა. „ვითას" სნაიპერებს კი თითო-ოროლა მცდელობისასაც კი არაფერი გამოსდიოდათ — ორი მალაკოც გააკეთეს. ზემოთნახსენები შეცვლებიდან ზუსტად ოთხი წუთის შემდეგ ტურაშვილმა ავანტიურისტული სამქულიანი ეშმაკურად ისროლა და ანგარიში 3 ქულამდე შეამცირა — 23:20. მისმა [illegible]ანამეინახეებმა დაცვას მოუჭირეს და ქარაბაკის გარღვე[illegible]ისა და ჩატენვის შემდეგ წინ გავიდნენ. აქვე კობეშავ[illegible]ზრახ დაჯარიმდ[illegible] ულენტზე. ამან ერთი ჩააგდო, ხ[illegible]თის მფლობელმა დინამოელებმა ააცილეს და წამსვე კობეშავი[illegible]ს რეაბილიტაციის საშუალება მისცეს. მიშამ სამქულიანი ჩააგდო და მისი გუნდი ტაიმში ყველაზე მეტით — ხუთი ქულით დაწინაურდა 39:34. ტაიმი კი დარსაძის შორმა სროლამ დაასრულა, რითაც კვლავ აღდგა ერთქულიანი სხვაობა.

შესვენების შემდეგ „დინამომ" მეტოქის ტაქტიკა აირჩია — ფარქვეშ ბერძენიშვილის ათამაშება გადაწყვიტა. დათომ ერთი-ორჯერ მიზანს კი მიაღწია, მაგრამ ბედმაც ზურგი შეაქცია — ორჯერ ჩაგდებული ბურთი კალათიდან ამოუვარდა, მერე აღელდა და გარბენიც შეემთხვა. შენგელია კი ერთხანს მაგრად იბრძოდა თავდასხმაში — ფარზე შესვლას არც ძალით ერიდებოდა და ეფექტური კაუჭებიც ჩააგდო. „ვითა" 8 ქულით დაწინაურდა და კიდევ ამდენი უნდა დაემატებინა, მაგრამ მიზეზი ისევ ორივე გუნდის ცენტრები იყვნენ. ბერძენიშვილმა ზედიზედ ოთხჯერ შეაცდინა ფარქვეშ შენგელია და უეჭველი ბურთები აცილებინა. ამგვარი ძღვენი დინამოელებმა ვერ შეირგეს — დარსაძემ და ულენტმა ცუდად ისროლეს, ხოლო ცხვედიანმა იჩქარა და ორი ქულის მომტანი პასის გაკეთების ნაცვლად არაზუსტი სამქულიანი აირჩია. ამასობაში აქამდე გაყუჩებულმა ტურაშვილმა შორიდან კიდევ ერთხელ ივარგა და ანგარიშიც 62:53 გახდა.

მაისურაძე მართლა დიდი დანაკლისი აღმოჩნდა „დინამოსთვის", მაგრამ ამ გუნდს შორიდან სროლის სხვა ოსტატებიც ჰყავს — დარსაძე, ცხვედიანი, ულენტი. თანაც, პირველ ტაიმში მათ სროლა აშკარად წაუვიდათ. ამის მცდელობა დინამოელებს ამჯერად ჰქონდათ, მაგრამ საამისო მომენტის შერჩევა ერთობ გაუჭირდათ. „ვითას" საგულდაგულოდ ჰქონდა გადაკეტილი თავის ნახევარი — განსაკუთრებით სამწამიანი ზონის პერიმეტრი. ამაში კი მთავარი დამსახურება დუდუ დადიანს მიუძღვის. ეს კაცი ჩემპიონატის ბომბარდირებს ლიდერობს, მაგრამ ახლა თავისი ქულების კეთებაზე უარი თქვა და მეტოქისთვის მიზნის მიღწევაში ხელის შეშლა გადაწყვიტა. დადიანმა დიდი შავი სამუშაო გასწია, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდეც „ვითას" გამარჯვება. ამის გამო დუდუ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიგვაჩნია, თუმცაღა გუშინ დაწესებული ამგვარი პრიზი კახა შენგელიამ დაისაკუთრა. დადიანის გარჯა მხოლოდ დაცვით როდი შემოიფარგლა. შეტევაში მან რამდენჯერმე გაუფანტა ყურადღება დინამოელებს, რითაც ტურაშვილს და განსაკუთრებით კობეშავიძეს საშუალო მანძილიდან შედეგიანი სროლის ჩინებული საშუალებები მისცა. დამთავრებამდე 5.06 წუთით ადრე ანგარიში 72:55 გახდა და მატჩი ინერციით დასრულდა. რაიმე განსაკუთრებული ან ორიგინალური არავის გაუკეთებია, არც დაწინაურებულს, არც ჩამორჩენილს.

**მერაბ რატიშვილი**



| საქართველოს ჩემპიონატი. I წრე, II ტური<br>ვითა — დინამო 86:67 (40:39)<br>თბილისი. ვერის ბაღი. 1 500 მაყურებელი<br>მსაჯები: რ.ხომერიკი; გ.ავალიშვილი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვითა | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 9 ბარამიძე | 4 | — | — | 1 | — | — | — | 2 |
| 5 ბაქრაძე | — | — | — | — | 1 | — | — | 1 |
| 8 სანაძე | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| 12 ქარაბაკი | 12 | 4 | 1 | — | — | 2 | 2 | 2 |
| 10 შენგელია | 30 | 13 | — | — | 1 | 8 | 6 | 3 |
| 13 დადიანი | 15 | 5 | 2 | — | 1 | 12 | 9 | 4 |
| 7 ტურაშვილი | 14 | 4 | 1 | 2 | — | — | — | 2 |
| 6 კობეშავიძე | 9 | 2 | — | — | — | — | — | 1 |
| 16 ორმოცაძე | 2 | 5 | — | 1 | — | — | — | 2 |
| 12 კოკოლიშვილი | — | 1 | — | — | — | — | — | [illegible] |
| 15 ბოისა | — | 1 | — | — | — | — | — | — |
| სულ | 86 | 35 | 4 | 4 | 2 | 22 | 17 | 18 |
| დინამო | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 6 ულენტი | 11 | 3 | 1 | 3 | — | 5 | 3 | 4 |
| 5 მაისურაძე | 3 | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 8 ბეჟანიშვილი | 10 | 5 | — | — | — | 1 | — | 1 |
| 15 ცხვედიანი | 15 | 1 | 1 | 1 | — | 2 | 1 | 1 |
| 14 ბერძენიშვილი | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 9 | 6 | 4 |
| 7 ხოშტარია | — | 1 | — | — | — | — | — | 1 |
| 13 კილაძე | 4 | — | — | 1 | — | — | — | 2 |
| 9 დარსაძე | 10 | 1 | 1 | — | — | — | — | 2 |
| სულ | 67 | 15 | 5 | 7 | 1 | 17 | 10 | 18 |

დავით ბერძენიშვილი და კახა შენგელია: შარშანწინ დაწყებული დუელი გუშინ გაგრძელდა

## საქართველოს ჩემპიონატი. ვერის ბაღი

I წრე. II ტური

### 1 დეკემბერი, პარასკევი

**სდასუ — ქუთაისი [illegible]**

სდასუ: ეგუტია (14), მუშკუდიანი (2), გიგაური (3), ქევხიშვილი (3), ძიძიგური (4), ნიკოლაძე (9), მერკვილაძე (1), [illegible] (12), ჩხეიძე (13), დოლიძე, გაბრიჩიძე (8)

ქუთაისი: ჭეიშვილი, ხაზარაძე (3), დევიძე, გუგუციძე (10), ბერეკაშვილი (18), გუმბერიძე (22), ჯალალონია (2), თურქაძე, ქათამაძე (6), ჩიხრაძე

**რუსთავი — მერანი 75:50**

რუსთავი: აბზიანიძე (11), მიროტაძე (1), კიკვიძე (3), გოგოლაძე (2), ხაიაური, იაშვილი (13), გურასპაული (5), მ. ბერუაშვილი (23), კეჟაყმაძე, მიქიაშვილი (13), გ. ბერუაშვილი (4)

მერანი: ოქმელაშვილი, ბარბაქაძე (8), ი. ბერიშვილი (14), ოქრუაშვილი (3), კალატოზიშვილი (4), ქურასბედიანი (7), მელაშვილი (14)

**მაკაბი — თორსი 93:72**

მაკაბი: უძილაური (16), ტალაბაძე (8), დავარაშვილი (2), ლოსაბერიძე (7), ტაბატაძე (8), ანდღულაძე (12), ხუხაშვილი (14), შველიძე (1), ჩაჩხიანი (11), აბულაშვილი (14)

თორსი: ცაგარეიშვილი (2), ბოლქვაძე (11), გონაშვილი (4), თორთლაძე, ორჯონიკიძე (4), იაზერსკისი (22), მიქაძე (13), ხარაძე (16)

### 2 დეკემბერი, შაბათი

**სოხუმი — თორსი 70:67**

სოხუმი: კარტოზია (22), ქვილითაია (3), აქირთავა (6), ბენდიანიშვილი (5), ქამუშაძე (2), ნვერიკაზაშვილი (13), ჯიგანია (9), ბერია (10), ვაშაკიძე

თორსი: ბოლქვაძე (9), გონაშვილი, ორჯონიკიძე (1), იაზერსკისი (21), მიქაძე (22), ხარაძე (14)

**ვითა — კაქტუსი 80:76**

ვითა: ბაქრაძე, კობეშავიძე (2), ტურაშვილი (6), სანაძე (3), ბარამიძე (14), შენგელია (23), ქარაბაკი (4), დადიანი (6), კოკოლიშვილი (5), ორმოცაძე (17)

კაქტუსი: აბულაძე, თორთლაძე (9), მაჭარაძე (11), ჩხეიძე (13), ოთიურიძე (20), აბრამიძე (9), ჩუბინიძე (14)

**დინამო — მერანი 93:54**

დინამო: ჩიქოვანი (5), მაისურაძე (12), ხოშტარია (5), ულენტი (18), ბეჟანიშვილი (9), გოგუა (3), სხიერელი (7), კილაძე (14), ცხვედიანი (12), ცაგარეიშვილი (8)

მერანი: ოქმელაშვილი (2), ბარბაქაძე (1), ი.ბერიშვილი (21), კალატოზიშვილი (5), დ. ბერიშვილი (7), ქურასბედიანი (12), მელაშვილი (6)

### 3 დეკემბერი, კვირა

**მაკაბი — შევარდენი 81:68**

მაკაბი: ტალაბაძე (4), უძილაური (12), დავარაშვილი, ლოსაბერიძე (2), კალანდაძე (2), ანდღულაძე (11), ხუხაშვილი (2), შველიძე (6), აბულაშვილი (14), ჩაჩხიანი (8)

შევარდენი: ისაკაძე (21), მაჭავარიანი (22), ფიოდოროვი (12), ქართველიშვილი (2), მოისწრაფიშვილი, ლვინეფაძე (7), თაბუაშვილი (4)

**კაქტუსი — მერანი 92:62**

კაქტუსი: გაგნიძე, აბულაძე (6), მეჭურჭლიშვილი (16), მაჭარაძე (6), ოთიურიძე (19), აბრამიძე (13), ახალკაცი (27), ჩხეიძე (7)

მერანი: ი. ბერიშვილი (12), კალატოზიშვილი (7), ქურასბედიანი (6), მელაშვილი (13), დ. ბერიშვილი (24)

**დინამო — თორსი 108:62**

დინამო: ჩიქოვანი (2), მაისურაძე (6), ულენტი (8), ხოშტარია (4), ბეჟანიშვილი (14), დარსაძე (6), გოგუა, სხიერელი (6), კილაძე (15), ბერძენიშვილი (11), ცხვედიანი (28), ცაგარეიშვილი (8)

თორსი: ბოლქვაძე (9), გონაშვილი (3), ორჯონიკიძე (9), იაზერსკისი (7), მიქაძე (18), ხარაძე (16)

**რუსთავი — სდასუ 78:64**

რუსთავი: აბზიანიძე (5), კიკვიძე (2), იაშვილი (2), გურასპაული (22), მ. ბერუაშვილი (26), კეჟაყმაძე, მიქიაშვილი (5), გ. ბერუაშვილი (16)

სდასუ: ეგუტია (1), მუშკუდიანი, გიგაური (5), ქევხიშვილი (11), ძიძიგური (5), ნიკოლაძე (11), მერკვილაძე (4), ჭეიშვილი (17), ჩხეიძე (4), გაბრიჩიძე (6)

### 4 დეკემბერი, ორშაბათი

**კაქტუსი — შევარდენი 72:55**

კაქტუსი: გაგნიძე, აბულაძე (5), მეჭურჭლიშვილი (2), მაჭარაძე (28), აბრამიძე (10), ახალკაცი (6), ჩუბინიძე (15), ჩხეიძე (6)

შევარდენი: ისაკაძე (14), მაჭავარიანი (18), ფიოდოროვი (10), ინაძე (3), ქართველიშვილი, ლვინეფაძე (2), თაბუაშვილი (8)

**სდასუ — სოხუმი 75:59**

სდასუ: ეგუტია (5), მუშკუდიანი (11), გიგაური (12), ქევხიშვილი (6), ძიძიგური (12), ნიკოლაძე (5), მერკვილაძე (7), ჭეიშვილი (2), ახობაძე, ჩხეიძე (9), დოლიძე (2), გაბრიჩიძე (4)

სოხუმი: ბენდიანიშვილი (11), ქვილითაია (2), კარტოზია (12), ქამუშაძე (1), აქირთავა (10), ნვერიკაზაშვილი (7), კიკალიშვილი, ჯიგანია (2), ბერია (14)

| | თ | მ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| ვითა | 9 | 9 | 0 | 885-515 |
| დინამო | 10 | 9 | 1 | 1005-619 |
| კაქტუსი | 10 | 8 | 2 | 855-660 |
| რუსთავი | 9 | 7 | 2 | 754-642 |
| სდასუ | 9 | 5 | 4 | 669-653 |
| მაკაბი | 9 | 5 | 4 | 676-735 |
| ქუთაისი | 10 | 4 | 6 | 687-762 |
| შევარდენი | 9 | 2 | 7 | 491-705 |
| თორსი | 10 | 1 | 9 | 659-847 |
| მერანი | 10 | 1 | 9 | 614-837 |
| სოხუმი | 9 | 1 | 8 | 472-802 |



## თამაშის მერე

**კახა შენგელია**

— ბევრი ქულების მიუხედავად, შეტევაში შეცდომებიც მრავლად გქონდათ...

— ბევრჯერ შევცდი შეტევაშიც და დაცვაშიც. გუშინ მაღალი სიცხე მქონდა და ყველაფერი ალბათ ამის ბრალია.

— თქვენი აზრით, იმსახურებთ საუკეთესო მოთამაშედ აღიარებას?

— რა ვიცი, ალბათ ყველაზე მეტად გამოვირჩეოდი. ბოლო ორ სეზონში ასე რიგიანად არ მითამაშია.

**ბესიკ ლიპარტელიანი, „ვითა"**

— უფერული დასაწყისის შემდეგ რის ხარჯზე გამოასწორეთ თამაში?

— ისევ და ისევ დაცვის წყალობით. მოვახერხეთ, რომ გვეთამაშა სწორი დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმაში დიდი ხარვეზები გვქონდა, დაცვის ხარჯზე მაინც მოვიგეთ. ისე, ჩემი გუნდი პიკზე იყო და „კაქტუსთან" ცუდი თამაშის შემდეგ კარგი კალათბურთი აჩვენა.

— როდის დარწმუნდით, რომ გაიმარჯვებდით?

— პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში. ვიგრძენი, რომ თამაში წაგვივიდა და დავრწმუნდი გამარჯვებაში. დაახლოებით თხუთმეტ ქულას ველოდი.

**ლევან მოსეშვილი, „დინამო"**

— რამდენად შეასრულეთ მატჩისთვის დასახული გეგმები?

— ყველა გეგმა არია მაისურაძის მოულოდნელმა ტრავმამ. [illegible] მაგრამ ის გეგმები, რაც დაცვაში [illegible] ელდა. ვერც გუნდმა და ვერც იმ[illegible] ლებოდა, დავალება ვერ შეასრულ[illegible]

— რატომ თქვით უარი მეორე [illegible]

— მეტოქემ არ მოგვცა ამის [illegible] რდნის პროცენტი პირველ ტაიმ[illegible] ლმდეგე გუნდმა სათანადო ანალი[illegible] მოთამაშეებს.



სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

უეფას თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები.

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბენფიკა (პორტუგალა) — ბაიერნი (გერმანია) | (10,0 — -) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ვერდერი (გერმანია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (1,7 — 1,7) | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლიონი (საფრანგეთი) — ნოტინგემი (ინგლისი) | (2,3 — 1,4) | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| რომა (იტალია) — ბრონდბიუ (დანია) | (1,3 — 2,8) | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| ბარსელონა (ესპანეთი) — სევილია (ესპანეთი) | (1,1 — 5,0) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ლანსი (საფრანგეთი) — სლავია (ჩეხეთი) | (1,25 — 3,1) | 1,25 | 3,0 | 5,6 |

6 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბეტისი (ესპანეთი) — ბორდო (საფრანგეთი) | (2,5 — 1,35) | 1,25 | 3,0 | 5,6 |

7 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპარტა (ჩეხეთი) — მილანი (იტალია) | (10,0 — -) | 2,7 | 2,5 | 1,9 |

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფში ბოლო თამაშები.

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ოლბორგი (დანია) — პორტუ (პორტუგალია) | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ბლექბერნი (ინგლისი) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| ლეგია (პოლონეთი) — სპარტაკი (რუსეთი) | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| სტიაუა (რუმინეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| დორტმუნდი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1,25 | 2,8 | 6,5 |
| აიაქსი (ჰოლანდია) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — რეალი (ესპანეთი) | 2,7 | 2,5 | 1,9 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარილზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში ალნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | 1-1 | | | 0-1 | | 0-0 | | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | 1-1 | | | 3-1 | | | | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | 4-1 | | | 1-0 | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | 3-0 | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | 2-1 | 2-1 | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | | | 3-1 | | | [illegible] | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | | | | | [illegible] |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | | | | | 2-0 | | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | | 2-0 | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | | 1-1 | | | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | | 3-3 | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | 2-1 | ■ | | | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | | 2-1 | | | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | | | 4-3 | | | 0-0 | | 1-1 | | 2-2 | | ■ | 1-0 | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | | | | 3-0 | | | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | | | | 1-1 | | | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | | | | | | 3-1 | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | 0-0 | | |
| 2 | AS BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | 0-2 | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 0-2 | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | 2-0 | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | 2-1 | ■ | | 0-0 | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | 3-2 | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | 1-1 | ■ | | | | 0-0 | | 0-0 | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | 0-0 | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | 1-1 | | 2-1 | | | ■ | 3-2 | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | 1-1 | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | 4-0 |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | 0-0 | | | | 2-2 | | ■ | | 1-0 | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | 1-0 | ■ | 1-1 | 1-0 |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | 1-1 | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | 3-1 | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | | | | | | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | 3-0 | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | 2-1 | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | | 2-1 | ■ | | | 1-1 | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | 1-4 | | | | | 0-0 | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | 0-1 | | 2-3 | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | 1-1 | | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | | | | 3-1 | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | 0-0 | | | ■ | 6-0 | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | 1-0 | | | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | | | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | 1-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | 1-3 | | | | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | 1-1 | 0-1 | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | 1-2 | | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | 0-0 | 2-2 | | | 1-1 | | 3-2 | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | 2-2 | 1-1 | | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-0 | | ■ | | | | | | 1-1 | | 3-0 | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | 3-3 | | | 0-1 | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | 1-1 | | | | | | 1-2 | 2-3 | 0-0 | | | 3-3 | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | 2-2 | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | 4-1 | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | 0-3 | | | | | | | | 1-2 | | 1-1 |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | 2-2 | | 1-1 | | | ■ | 1-0 | 0-0 | | | | | 2-2 | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 2-0 | | | | | | | | ■ | 2-2 | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | 1-1 | | | ■ | 1-0 | 1-4 | | 2-6 | | | | 2-0 |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | 2-2 | 0-2 | | | 0-1 | 2-2 | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | 0-1 | | | | ■ | | | | 0-0 | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | 1-0 | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | 4-1 | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | 1-2 | ■ | | | 5-3 | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | 1-1 | | 3-0 | | | 1-1 | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | 1-2 | 2-0 | 1-3 | | | | 1-1 | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | 1-1 | | | | 3-2 | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | | | | | 2-0 | 0-1 | | ■ |

# მიხაელ შუმახერი: კიდევ ათი წელი




**იაპონიაში, „აიდაზე" გამარჯვების შემდეგ, რამაც მიხაელ შუმახერი მეორედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი, მას „შპორტბილდის" რედაქტორი პეტერ პესელერი შეხვდა და ეს ინტერვიუც ჩამოართვა. „შუმი" საუბრობს თავის გეგმებზე, ჯილდოს მნიშვნელობასა და მომავალზე...**

— თქვენი შედეგიანი ასპარეზობით შესძელით ის, რასაც აქამდე მხოლოდ ხუთმა დიდმა მრბოლმა — ასკარიმ, ფანხიომ, ბრებჰემმა, სენამ და პროსტმა მიაღწიეს: ზედიზედ ორჯერ გახდით ფორმულა 1-ის ჩემპიონი. განსაკუთრებულად თუ გსიამოვნებთ ეს ისტორიული ფაქტი?

— ჩემი მიზანი წელსაც მსოფლიოს ჩემპიონობა იყო. მითუმეტეს მახარებს ეს წარმატება, რადგან სეზონის დასაწყისში ჩემპიონობის იოტისოდენა შანსი მქონდა, თანაც მაკლარენს მთელი წლის მანძილზე ჩვენზე უკეთესი მანქანა ჰყავდა. სტატისტიკური მიღწევა — ზედიზედ ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონობა — ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, სტატისტიკური თვალსაზრისით გაცილებით ღირებულია დიდი პრიზების გათამაშებაში მოპოვებული გამარჯვებები.

— ეს ისე ჟღერს, თითქოს თქვენს წარმატებას აკნინებდეთ.

— არა, მე ვამაყობ ჩემი გუნდისა და ჩემი წარმატებით, ჩვენ ხომ უმძიმესი სტარტის შემდეგ შევძელით პირველობა.

— რადგან გამარჯვებებზე ვსაუბრობთ, ისიც გვითხარით, რამდენ ხანს გრძელდება რბოლაში გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია?

— ეს ზუსტად შემიძლია გითხრათ — მომდევნო რბოლამდე. ახალი სტარტისას ყველაფერი თავიდან იწყება, ახალი გამოცდა გელის.

— ესე იგი, ვთქვათ, ნიურბურგრინგზე ტრიუმფალური გამარჯვების სიხარული მხოლოდ აიდას სტარტამდე გაგყვათ?

— ნიურბურგრინგი მთელი ცხოვრება მემახსოვრება. საქმის ვითარება ისე აეწყო, რომ მთელი ჩემი პოტენციალი უნდა გამომევლინა — ცვალებადი ამინდის პირობებში ისეთი სტრატეგიით უნდა მემოქმედა, რომ ორთაბრძოლები არ წამეგო. დასახულმა პროგრამამ გაამართლა. მაგრამ ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა, ეს გამარჯვება სხვებზე გაცილებით წინ დამეყენებინა. როცა მდევართაგან საკმაოდ წინ გაიჭრები, ხალხს ჰგონია, რომ ყველაფერი ძალზე იოლად გამოგდის, რადგან აქ სახიფათო არაფერია, არადა, ამ დროს შენ ისეთსავე ექსტრემალურ პირობებში იმყოფები, როგორც ყოველთვის და რბოლასაც მთელი არსით ეძლევი.

— თქვით, გამარჯვების შემდგომი ეიფორია დიდხანს არ გრძელდებაო. მსოფლიოს ჩემპიონობას კი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებთ, ვინემ რბოლაში გამარჯვებას. რას გულისხმობთ?

— ტრასაზე გასვლისას არ მასვენებს ის აზრი, რომ მე ჩემპიონი ვარ. თუკი შეცდომებს დავუშვებ და დავმარცხდები, ჩემთვის ნაკლებად სანუგეშო იქნება ის, რომ ჯიბეში ორგზის ჩემპიონის ტიტული მიდევს.

— ცოტა ხნის წინ მარანელოში „ფერარის" სამფლობელო მოინახულეთ. რა შთაბეჭდილება დატოვა იქაურობამ თქვენზე?

— დაუფარავად გეტყვით: იქ მანქანით გავემგზავრე, ავტობანთან პატარა დელეგაცია დამხვდა და ფირმამდე მიმაცილა. როცა ღამის წყვდიადში სუსტად განათებულ ქარხანას მივადექით, ტანში დამბურძგლა.

— მიუხედავად ამისა, მთელი ღამე ამუშავეთ „ფერარის" ხელოსნები, თქვენთვის მოსახერხებელი სკამი რომ დაემზადებინათ.

— სკამი ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია, რომელიც ჩემს მოთხოვნას ასი პროცენტით უნდა აკმაყოფილებდეს.

— თემა შევცვალოთ. რით არ გაკმაყოფილებთ ნიკი ლაუდას როლი „ფერარიში".

— თუკი ლაუდა არა მხოლოდ კვირის ბოლოს — როგორც აქამდე იყო — არამედ მუდამ გუნდთან იქნება, კარგ შედეგს მოიტანს. მისი ცოდნა და გამოცდილება დიდად წაგვადგებოდა. მაგრამ მას ამის დრო არა აქვს. გარდა ამისა, „ფერარის" უკვე ოთხი „მზარეული" ჰყავს, მეხუთე კი, ვფიქრობ, არათუ რამე სასიკეთოს გააკეთებს, არამედ შეიძლება გააფუჭოს კიდეც. ლაუდამ თავისი ამოცანა შეასრულა, „ფერარი" ფეხზე დააყენა, გუნდში მოიყვანა საჭირო ადამიანები, რომლებიც თავ-თავიანთ ადგილებზე არიან...

— მზად ხართ, ახალ მეტოქესთან, ინდიკარის ჩემპიონ ჟაკ ვილნევთან დუელისთვის, რომელიც 1996 წელს „უილიამსით" იასპარეზებს?

— დიახ, ის ჩემი ახალი კონკურენტი იქნება. მე მისი რბოლა იმოლაზე ვნახე. კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი, კარგი დრო აჩვენა, მაგრამ პილზე უარესი. შესაძლოა, დღესდღეობით ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტდეს, მაგრამ ეს შეიცვალოს. ზოგ პილოტს, სხვებთან შედარებით, მეტი დრო სჭირდება თავისა და სტილის მისაგნებად.

— თქვენი პარტნიორი გუნდში ედი ირვინი იქნება.

— თუ მას „ფერარიში" ყოფნა უნდა, მან თავისი წილი ოფლი უნდა დაღვაროს. მჯერა, რომ ის ამას გააკეთებს. „ფერარიში", ბოლოს და ბოლოს, წარმატებების ახალ ერას უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

— აიდაზე რბოლამდე რამდენიმე დღით ადრე ის მთვრალი უნახავთ.

— ზოგი ადამიანი სიამოვნებით სვამს, ზოგი — არა. ყოველ შემთხვევაში, საწვრთნელი რბოლების შედეგები მის სისწრაფეზე მეტყველებს. სწრაფ ადამიანს კი შეუძლია მთლიანად გამოიყენოს მანქანის ტექნიკური მონაცემები და ამით რბოლის სისწრაფე გაზარდოს.

— ბოლო დროს თქვენს პიროვნებაში ცვლილება შეიმჩნევა: უფრო დამყოლი და მომთმენი გახდით. ეს წარმატებებმა განაპირობა?

— არა, წარმატებები ადრეც საკმაოდ მქონდა. ამას სხვა მიზეზი აქვს. ყოველთვის მსურდა, ვყოფილიყავი ძალიან წყნარი და მომთმენი. ზოგიერთს ამის მისაღწევად გარკვეული დრო სჭირდება. საათში 300 კილომეტრით რბოლა და ამავდროულად შეცდომების არდაშვება უფრო მიადვილდება, ვიდრე მოვლენებზე სწრაფად რეაგირება. ამაში წარმატება ჯერ კიდევ მაკლია.

— მაშინ ცოტა უნდა იჩქაროთ, თქვენ ხომ ხუთ წელიწადში გინდათ სპორტისთვის თავის დანებება.

— ხუთი წელი ჩემი საშუალედო ეტაპია, თუ ამ ხნის მერეც საჭესთან ჯდომის ხალისი მექნა, კიდევ ხუთი წლით გადავდებ წასვლას. ასე რომ, დღეიდან წინ კიდევ ათი წელი მაქვს.

თარგმნა
ერეკლე ქიქილაშვილმა



# კომპიუტერი — მეგობარი თუ მესაფლავე?

კომპიუტერმა, XX საუკუნის ამ პირმშომ, დიდი გადატრიალება მოახდინა მეცნიერების ყველა დარგში და საერთოდ კაცობრიობის ცხოვრებაში. განსაკუთრებით იქ, სადაც აუცილებელია სწრაფი აზროვნება და სიზუსტე. ასე რომ, გასაკვირი როდია, რომ კომპიუტერმა ჭადრაკის სამყაროშიც შეაღწია.

საინტერესოა, რომ სწორედ ჭადრაკის ღრმა ლოგიკური არსის მეშვეობით მოხდა ელექტროგამომთვლელი მანქანის გამოცდა „ნიჭიერებაზე", „ძალასა" და „შემართებაზე". მიამიტობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს კომპიუტერი ჭადრაკის სათამაშოდ გამოიგონეს. არა, რა თქმა უნდა. ჭადრაკმა ყველაზე ცხადად წარმოაჩინა კომპიუტერის ლოგიკური აზროვნების უნარი, მისი საოცარი მეხსიერება და „ბრძოლისუნარიანობა".

დღეს არავის უკვირს, რომ კომპიუტერი მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობს. იყო დრო (70-იანი წლები), კომპიუტერები (იგულისხმება მათი საჭადრაკო პროგრამები) ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. 1974 წელს სტოკჰოლმში კომპიუტერების პირველი მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. იგი საბჭოთა პროგრამა „კაისამ" მოიგო. მერე ეს ჩემპიონატი ტრადიციული გახდა.

მალე კომპიუტერებისა და მოჭადრაკეთა შეხვედრების ხანა დადგა. 1977 წელს ფიშერმა სამი პარტია რომ მოუგო მანქანას, ქვეყანა ალაპარაკდა. მერე გარი კასპაროვმა და ბევრმა სხვა დიდოსტატმაც დააჩოქეს მანქანა. მაგრამ პროგრამისტებმა არ დაახანეს. მათ შექმნეს უფრო მძლავრი პროგრამები და „რევანშიც" აიღეს.

1991 წელს ინგლისში გარი კასპაროვს აჩვენეს მანქანა, რომელმაც ურთულესი ენდშპილი მოიგო ერთადერთი სვლებით. გაოცებულმა მსოფლიო ჩემპიონმა შესძახა: მე ვიხილე ღმერთი! არ გასულა დიდი დრო, რომ კომპიუტერმა „გენიუსმა" (ისრაელი) კასპაროვი ხუთწუთიან პარტიაში დაამარცხა და მასთან ერთად გაიყო პირველი-მეორე ადგილები დიდოსტატთა დიდ ბლიცტურნირში. სხვათა შორის, 1995 წელს კასპაროვი ორ მატჩში (სწრაფ ჭადრაკში) შეხვდა „გენიუსს". თითოეულმა გაიმარჯვა ანგარიშით 1,5:0,5.

როგორც ხედავთ, კომპიუტერი უკვე „დაუპირისპირდა" ადამიანს. გვსურს თუ არა, იგი ჩვენს „მეტოქედ" უნდა ვაღიაროთ.

ორიოდე სიტყვა ამჟამად გავრცელებულ კომპიუტერებზე (მათ პროგრამებზე). ამას წინათ ჰონკონგში მოეწყო პატარა (პერსონალური) და დიდი (საგანგებო საჭადრაკო) კომპიუტერების VIII მსოფლიო ჩემპიონატი. ყველას (24 მონაწილე) აჯობა გერმანულმა პერსონალურმა კომპიუტერმა „ფრიტცმა". სხვათა შორის, გერმანიაში 200 მარკად იყიდება მისი დისკეტი, ასე რომ, მსურველს შეუძლია შეიძინოს იგი, მოათავსოს თავის კომპიუტერში და მუდამდღე ეპაექროს მსოფლიო ჩემპიონს! დღეს მსოფლიოში ცნობილი კომპიუტერებია: მსოფლიოს ექსჩემპიონები „მეფისტო" (გერმანია. არსებობს ოთხი პროგრამა), „გენიუსი", „ჩესი" (აშშ); აგრეთვე, „დოპ სოტი" (აშშ), „ტაქსი" (პოლანდია), „კენტავრი", „მირაჟი" (ორივე — რუსეთი) და ბევრი სხვა. ისინი შეუპოვარ მეტოქეობას უწევენ დიდოსტატებს საერთაშორისო ტურნირებში, ზოგჯერ იმარჯვებენ კიდეც და პრიზებსაც ეუფლებიან.

ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71

რა დასამალია, მრავალ დიდოსტატს არ სიამოვნებს უპირსახო მოჭადრაკეებთან პაექრობა. ერთხელ ნანა იოსელიანმა შემომჩივლა: ძნელია თამაში მეტოქესთან, რომელსაც ვერ ხედავ, ვერ გრძნობ მის სუნთქვას. ჩემზე რომ ყოს დამოკიდებული, ავკრძალავდი კომპიუტერსო, ამბობს ლიუბომირ ლიუბოევიჩი. მაია ჩიბურდანიძის აზრით, კომპიუტერი ვერასოდეს გახდება შემოქმედი. გარი კასპაროვი მოუწოდებს თანამოსაქმეებს, შეურიგდნენ „უსულო მოჭადრაკის" არსებობას და იფიქრონ, როგორ „გაანეიტრალონ" იგი. მიხეილ ბოტვინიკი ასე ამშვიდებდა კომპიუტერის მოძულე კოლეგებს: ქალებმა იციან, რომ ვერასოდეს აჯობებენ ვაჟებს ჭადრაკის თამაშში, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის გამართონ თავიანთი მსოფლიო ჩემპიონატები. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ.

ბევრს კომპიუტერი ჭადრაკის მეგობრად მიაჩნია. ასეა ეს? უდავოა, რომ კომპიუტერთან თამაში ხელს უწყობს მოჭადრაკეს კვალიფიკაციის ამაღლებაში. იგი მიყრუებულ სოფელშიც ჩინებული პარტნიორი და მასწავლებელია, გვეხმარება გადადებული პარტიის, რთული ენდშპილის ანალიზში, მიმოწერით თამაშში. შეუძლია აგრეთვე შვეიცარიულსისტემიან ტურნირში კენჭისყრის ჩატარება, რეიტინგის დაანგარიშება, შესარჩევ ტურნირებში ძლიერი დიდოსტატების თანაბრად განაწილება და სხვა. ზოგჯერ კომპიუტერი გვევლინება დემონსტრატორად დიდ შეჯიბრებებში. მას ელვის სისწრაფით გადააქვს ელექტრონულ სადემონსტრაციო დაფაზე დიდოსტატების სვლები. თუ სურვილია, შეუძლია აჩვენოს პარტია თავიდან ბოლომდე. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს იგი მწვრთნელებს პარტიებისა და სადებიუტო ვარიანტების საინფორმაციო ბანკის შექმნაში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ უკვე მრავალმა დიდოსტატმა შეიძინა პერსონალური კომპიუტერი. ალბათ მალე ასეთი მანქანა ყველას ექნება, ვისაც ჭადრაკში დაოსტატების სურვილი გაუჩნდება.

ამბობენ, კომპიუტერმა ჭადრაკს ზიანი მიაყენაო. მაგალითად, მისმა „საჭადრაკო ძალამ" ფიდეს გააუქმებინა პარტიის გადადების წესი. შეწყვეტილი პოზიციის ანალიზი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მოჭადრაკეებს. ახლა ამ, მართლაც რთულ, მაგრამ ინტერესის აღმძვრელ სამუშაოს უკეთესად ასრულებს კომპიუტერი. გაუქმებას სატურნირო რეგლამენტის შეცვლაც მოჰყვა. შემოიღეს ახალი წესი: ტურის პარტიები უნდა დამთავრდეს იმავე დღეს, ესე იგი, პარტიები აღარ გადაიდება. ამ წესით ჩატარდა ამას წინათ მსოფლიო პირველობის მატჩი კასპაროვსა და ვიში ანანდს შორის.

კომპიუტერმა ხელი შეუშალა მიმოწერით ტურნირების გამართვასაც. მართლაც, რაღა აზრი აქვს ამ შეჯიბრებას, თუ პარტიებს მოჭადრაკეები კი არა, პერსონალური კომპიუტერები ითამაშებენ. ასევე დაეკარგა მნიშვნელობა ამოხსნელთა კონკურსებს საჭადრაკო კომპოზიციაში.

ახლა ბევრი ფიქრობს: რა ეშველება ჭადრაკს, როგორ შევუნარჩუნოთ მას სიცოცხლე და მიმზიდველობა საყოველთაო კომპიუტერიზაციის ეპოქაში. უკვე გამოჩნდა პირველი წინადადებები. გთავაზობთ ორ მათგანს.

ახალი ჭადრაკის დანერგვა ითავა რობერტ ფიშერმა. იგი ამბობს, რომ მის ჭადრაკს შ[illegible] მიერი საბაზო მონაცემების მქონე კომპიუტერს. აი, „ფიშერის ჭადრაკი":



ამ ჭადრაკის საწყის პოზიციაში (პაიკთა წყობა არ იცვლება) არსებობს ფიგურების განლაგების სხვადასხვა ვარიანტი (აქ მოგვყავს ერთ-ერთი), მაგრამ ყველასთვის სავალდებულოა, რომ მეფეს ეტლები ედგნენ ორივე მხრიდან. ამ ვარიანტების არჩევა კენჭისყრით უნდა მოხდეს.

„ფიშერის ჭადრაკში" თამაში ძველი წესებით მიმდინარეობს. სასაცილო ჩანს როქის წესი. მეფისა და ეტლის განლაგების მიუხედავად როქის დროს მეფე გადაევლება ეტლს და დაიკავებს თავის „კანონიერ უჯრას" (მაგალითად, თეთრი მეფე G1-ს ან C1-ს), ეტლი კი გვერდში ამოუდგება მას. ამ დროს საინტერესო ამბები ხდება. მაგალითად, ეტლი E-1-ზე უკვე ასრულებს აქტიურ ფუნქციებს, მაგრამ მოკლე როქის დროს იძულებულია დადგეს [illegible] უჯრაზე. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ 15-20 სვლის შემდეგ იქმნება ჩვეულებრივი პოზიცია და მოჭადრაკეები მშვიდად აგრძელებენ თამაშს.

ახალი ჭადრაკით რამდენიმე პარტია ითამაშა ანატოლი კარპოვმა. მისი აზრით, „ფიშერის ჭადრაკს" აკლია ის ჰარმონია, რაც ნორმალურ ჭადრაკს აქვს. დადებითი კი ისაა, რომ მას არ სჭირდება თეორიული (დებიუტების) ცოდნა. ეს თითქოს ათანაბრებს მეტოქეთა შესაძლებლობებს.

„ფიშერის ჭადრაკს" საყოველთაო გამოცდა სჭირდება. უნდა გაიმართოს რამდენიმე ტურნირი მაინც.

ახალი „უდებიუტო ჭადრაკი" შემოგვთავაზა თბილისელმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა გელა გურასპაშვილმა.

„უდებიუტო ჭადრაკი" საერთოდ უარყოფს პარტიის დაწყებით თეორიას (დებიუტებს)! მაშ, როგორ იწყება პარტია „გურასპაშვილის ჭადრაკში"? იგი მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც მეტოქენი დაამთავრებენ დაფაზე ყველა ფიგურისა და პაიკის გაწყობას სასურველ უჯრებზე. ამას, როგორც მიხვდით, 16 „სვლა" სჭირდება, ესე იგი, იმდენი, რამდენი ფიგურაც აქვს თითოეულს. ძალთა განლაგება რომ დასრულდება, თამაშიც მაშინ დაიწყება, ცხადია, საყოველთაოდ ცნობილი წესებით. ამ ჭადრაკში ყველაზე რთულია ფიგურებისა და პაიკების სწორი გაწყობა დაფაზე. მას დიდი გონიერება, ფანტაზია და ჭვრეტა სჭირდება.

გურასპაშვილმა შეძლო თბილისში „უდებიუტო ჭადრაკის" ორი ტურნირის გამართვა. მისმა მონაწილეებმა ნონა გაფრინდაშვილმა, მაია ჩიბურდანიძემ, ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ზურაბ სტურუამ და სხვებმა დადებითი შეფასება მისცეს ახალ თამაშს. ამას წინათ ორივე ტურნირის პარტიების კრებული განსახილველად გაეგზავნა ფიდეს 66-ე კონგრესს პარიზში. ვიმედოვნებთ, რომ „უდებიუტო ჭადრაკი" ბევრ სპეციალისტს დააინტერესებს.

ცხადია, რომ ჭადრაკში კომპიუტერის შემოჭრამ გამოაცოცხლა საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრება, სტიმული მისცა ახალი ტურნირების და მატჩების გამართვას. იმედია, ჭადრაკი XXI საუკუნეშიც დარჩება კაცობრიობის კულტურული ცხოვრების დამამშვენებელ, ფენომენად.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი.

## ჩოგბურთი

# სამპრასი რომ არ ჰყოლოდათ...




პიტ სამპრასი

**მსოფლიოს** პირველ ჩოგან პიტ სამპრასს დიდად ვერ ეპიტნავება თიხნარზე ასპარეზობა, მაგრამ ამ აქეთ, რაც ამფხონი — მეორე ჩოგანი ანდრე აგასი მკერდის კუნთის ტრავმის გამო გამოაკლდა დევისის თასზე რუსებთან ფინალურ მატჩს, ამერიკელთა კაპიტანი თომ გალიქსონი იძულებული შეიქნა, სამპრსი ეთამაშებინა ერთეულებში, წყვილში და როგორც თავადვე დასძინა, თუ საჭირო გახდებოდა, გოლფშიც (?!)




მატჩი პარასკევ — კვირას გაიმართა მოსკოვის ოლიმპიურ სპორტკომპლექსში. რუსებს ყოველდღიურად 15-15 ათასი კაცი ქომაგობდა.

სამპრასს პარასკევის პირველსავე თამაშში ცუდად წაუვიდა საქმე — ანდრეი ჩესნოკოვი მეტისმეტად გაუძალიანდა. მეხუთე ხელში რუსი მატჩ-პოინტს რომ დაუძვრა, პიტს კარიერაში პირველად დაეწყო მარცხენა ფეხის კუნთის სპაზმი. ამერიკელს იქვე უხამლეს, მან ხელი (6:4) და თამაშიც გამარჯვებამდე მიიყვანა, მაგრამ დღის მეორე თამაშში რუსთა ლიდერმა, მსოფლიოს მეექვსე ჩოგანმა ევგენი კაფელნიკოვმა ერთობ დამაჯერებლად 7:6, 7:5, 6:3 სძლია ჯიმ კურიე და ანგარიში გაათანაბრა 1-1.

შაბათს რუსები მეტოქეებად ტოდ მარტინ — რიჩი რენებერგის წყვილს ელოდნენ, მაგრამ კაფელნიკოვსა და ანდრეი ოლხოვსკის გალიქსონმა მაინც მარტინ — სამპრასი შეახვედრა. ამერიკელებმა 7:5, 6:4, 6:3 მოიგეს და 2-1 დაწინაურდნენ. ამან ერთობ გაუსაძლისი ფსიქოლოგიური საპალნე აჰკიდა კაფელნიკოვს, ვისაც კვირის პირველ შეხვედრაში გუნდური გამარჯვებისათვის უსიკვდილოდ უნდა დაემარცხებინა სამპრასი.

სოჭელმა ჟენიამ ვერ იჯარგა — სამპრასთან სამ ხელში წააგო. ამერიკელმა გადამწყვეტი ქულა მე-16 ეისით მოიპოვა, თუმც მეორე ხელში კრუნჩხვამ კიდევ შეახსენა თავი. გუნდური ანგარიში 3-1 გახდა და ამერიკამაც 31-ედ მოიპოვა თასი, მაგრამ წესი წესია და კურიემ და ჩესნოკოვმა მაინც შეაქციეს საზოგადოება. კურიემ რუსთა მეორე ნომერთანაც წააგო, ასე რომ, აშშ-ს სამივე ქულა პიტმა შესძინა.

მიხო ნინუა




ნამდვილ ბორჯომს ამოიცნობთ ნომრით მარჯვენა ქვედა კუთხეში, ეტიკეტის უკანა მხარეზე წარწერითა და წითელი ხუფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

### სადა რაგბის წარსადგ... მატჩი

1. XII. ვაკე. მზიანი ...ამინ. სიცივე

**ვარსკვლავები — ყოჩები**

10 ლ, 5 გ (16) 55 — 26 (10) 5 ლ, გ

მსაჯები: რამაზ ბერაძე და პაატა ნარიმანაშვილი

სათამაშო დრო: 29 + 34 წუთი

ვარსკვლავები: (1 - 6) ჯაფარაშვილი *, ფარცვანია, პარნიკანაშვილი (ლ: 26), მაგრაქველიძე (ლ: 45), სორდია (ლ: 15), კ. კობახიძე * (ლ: 61); (7 - 12) ხუციშვილი, ჯიმშელაძე * (გ: 26, 31), ჯანელიძე * (კაპიტანი), ბ. იურინი (ლ: 56, 58), ბუგიანიშვილი (ლ: 5, 31), იოვაძე * (ლ: 37; გ: 37); (+) თ. კიზირია, ჩიქვინიძე * (ლ: 49; გ: 45, 58)

ყოჩები: (1 - 6) ჭავჭავაძე, კიკუაშვილი, ხურცილავა, გუშარაშვილი, ზ. ლეჟავა * (კაპიტანი), ურუშაძე (ლ: 8, 27; გ: 50); (7 - 12) ჯანაშვილი, ენუქიძე, ბარძიმიშვილი, საკანდელიძე (ლ: 33, 50, 59), ლაზაშვილი, დუგლაძე; (+) გულუხია, კაპანაძე, სულთანიშვილი, გ. ნიკლაური

(1 - 6) მორკინალები; (7 - 12) უკანახაზელები; (+) სათადარიგონი; * ნაკასტრიკუმლები

# ცუდი სეირი იყო?



**სადა რაგბის** ჩვენებური პრეზენტაცია რაღაც ჭირად დიდ ფეხბურთს დაემთხვა, რის გამოც მარტოოდენ მორაგბეები მიიზიდა. არადა, წარდგენის წინა დღეებში საზოგადოდ ბურთაობის მოყვარულებმა ტელეფონით შემოგვჩივლეს, მაგ ახალი თამაშის ხილვა გულით კი გვწადია, მაგრამ „დინამო" — „სამტრედიის" ფეხბურთს როგორღა შეველიოთო.

თავად სარაგბო საზოგადოებრიობა ექსპერიმენტით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო. თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ზოგიერთი სკეპტიკოსის ნათქვამს, აქაო და მსგავს თამაშობას წვრთნისას ვიყენებთ ხოლმეო, ტრიბუნებზე შეკრებილებს სადა რაგბის საწინაალმდეგო, აბა, რა უნდა ჰქონოდათ — იხილეს ერთობ კოლორიტული, უშეღავათო სანახაობა, რაგბის მომავლის გამო ძალაუნებურად რომ დააფიქრებდა კაცს.

ჩვენეული ცდის ამოსავალი იყო ის, რომ XXI საუკუნის დამდეგს რაგბი შეიწყნარებს ძე ცთომილს — ლიგას, რის შედეგადაც ეს ორი ბურთაობა გაერთიანდება და საერთო წესებსაც შეიმუშავებს. ამ ახალ კოდექსში, უეჭველია, ორივე თამაშის უკეთესი პრინციპები შეხავდება.

სადა რაგბმა თვალნათლივ გვიჩვენა, რას ემგვანება ეს თამაში. — რასა და ამჟამინდელ ლიგის რაგბს, ოღონდაც უფრო გაკეთილშობილებულსა და გამრავალფეროვნებულს, ამასთან ბევრად უფრო ათლეტურს. დასამალი რაა, ჩვენი ცდის მონაწილეებმა ამ ერთ თამაშს იმდენი ძალ-ღონე შეალიეს, ბარემ ნახევარ სეზონში რომ არ დაუხარჯავთ.

დატვირთვის ზრდა უთუოდ იმან გამოიწვია, რომ ბურთის კიდეზე გამიზნულად გადაგდებით გუნდი წინ ველარ წაიწევდა, რის გამოც იძულებული იყო, ხელით ებურთავა. რაკი მოედანზე ოდენ 24 მორაგბე იყო, მობურთალებს გასაქანი აშკარად მეტი ჰქონდათ. ორი მსაჯი უკეთ აღრიცხავდა თამაშგარეს წესის დარღვევას და უპირატესობის წესსაც უფრო მარჯვედ იყენებდა. ბურთის წინ დავარდნის გამო შერკინების მოწყობის ნაცვლად თავისუფალი დარტყმის შემოღებამ თამაში ერთობ ააჩქარა — ყველანი ბურთის უმალ გათამაშებას ეშურებოდნენ.

საცდელი წესებით შერკინება მხოლოდ მაშინ ინიშნებოდა, როცა ბურთისთვის კოლექტიური ჯაჯგური გაჯანჯლდებოდა, ანაც ბურთი ზედახორაში ჩაიმარხებოდა. უთუოდ მონაწილეთა სიმცირის გამოც იყო, მოლში და რაქში ბურთის მოგება რომ გაიოლდა, რის გამოც მატჩში სულ ხუთი-ექვსი შერკინება დაინიშნა, ხოლო იმის გამო, რომ აღარც დერეფანი ეწყობოდა წესების თანახმად, რაგბისთვის ნიშანდობლივი სტატიკური ელემენტი ერთიანად გამოირიცხა. რაკი ბურთი ერთთავად თამაშდებოდა, უნივერსალი მოთამაშეები მეტად დაფასდნენ. სწორედ ამის გამო იყო, რომ „ვარსკვლავებმა", რომელიც „თბილისისა" და „აზოტის" ორ-ორი მოთამაშით გაძლიერებული „გუმირი" იყო, გვარიანად აჯობეს „ყოჩებს", რომლებსაც ოდენ თითო-ოროლა ვარსკვლავი (ზ. ლეჟავა, ურუშაძე, ...) აღმოაჩნდათ.

თავიდან მოთამაშეები ბურთს ფეხს საერთოდ არ ურტყამდნენ. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ბიჭებს ზოგი წესი მთლად სწორად ვერ განუმარტეს. შესვენების შემდეგ ვითარება გამოსწორდა, მაგრამ ფეხით მაინცდამაინც აზრიანი თამაში არ გაჩაღებულა, რადგანაც ორივე გუნდის ცნობილი ფეხოსნები — ი. ლეჟავა, მაჩიტიძე, შ. მოდებაძე, ტეფნაძე მატჩში არ მონაწილეობდნენ. ამის გამო საერთოდ არ გვინახავს აბრაგანი, მეტოქის ზურგში ბურთის გაგზავნა და იქიდან წამოწყებული კონტრიერიშები კი ბოლოსღა გაჩაღდა. რაც მთავარია, საცდელმა წესებმა აზრი მთლად გამოაცალა ბურთის კიდეზე გადაგდებას — თუნდაც ბურთის თავიდან მოსაშორებლად, რაც უეჭველად მოუხდა თამაშს, თუმც კი ნათქვამია, გემოვნებაზე არ დაობენო.

დაავიწყდათ თუ სხვა რამ იყო, მაგრამ გუნდებს ერთი საჯარიმოც არ დაურტყამთ კარისკენ. ეტყობა, ორი ქულა ეცოტავათ, მით უფრო, რომ ხუთქულიანი ლელოს წყალობით ანგარიშის სხვაობა სულ ისეთი იყო, რომ საჯარიმოს გატანა ბევრ ვერაფერს შეცვლიდა. იგივე ითქმის არეკნზეც, რომლის ცდაც ნებისმიერი თავისუფალის მერე შეიძლებოდა, ოღონდ გატანა ოდენ ერთი ქულა ღირდა.

ექსპერიმენტი წარმატებად შეგვიძლია მივიჩნიოთ — საგულისხმო ბევრი რამა ვნახეთ. რა თქმა უნდა, სულ სხვა საკითხია, სადა რაგბის იდეები რამდენად დაემთხვევა იმათ, XXI საუკუნის რაგბში რომ გადავაწყდებით. ისე კი, ურიგო არ იქნება, თუ ქართული სარაგბო თემი წელიწადში ორ-სამჯერ გამართავს სადა რაგბის თამაშებს, სხვა წინადადებებსაც გამოცდის და თავის წვლილს შეიტანს მსოფლიო რაგბის განახლებაში.

ზაზა ფხაკაძე

### სამადლობელი

მატჩის მოწყობის ხელის შეწყობისათვის „სარბიელი" ემადლიერება ვაკის სტადიონის დირექტორ გივი ჭანტურიძეს; უხუცეს ქართულ მსაჯს გოჩა აბაშიძეს, ვინაც წესების გამო საგულისხმო შენიშვნები გამოთქვა; რაგბის კავშირის გენერალურ მდივან გივი კუბლაშვილს, ვინაც მატჩი ვიდეოთი გადაიღო; მწვრთნელებს — გურამ მოდებაძეს („ვარსკვლავები"), გელა მიქაბერიძეს, ლაშა გეგენავასა და ლექსო ბურნაძეს („ყოჩები"), და რაღა თქმა უნდა, თავად მონაწილეებს — ორივე მსაჯსა და 30-ვე მოთამაშეს, რომლებმაც სეზონის ბოლოსაც არ დაიზარეს უმაგალითოდ ბევრი სირბილი და ჭიდილი.

## სეზონი დასრულდა! რაღა დროს სინია?




1 დეკემბერს „თბილისმა" შეუთვალა „გუმარს", 10 დეკემბრამდე დაგვითქვით თარიღი, როცა „სარბიელის" სინს ჩვენი ხელყოფისაგან დაიცავთო.

ამაზე „გუმარმა" გვიპასუხა, საშინაო სეზონი ნოემბრის დამდეგს დასრულდა, ჩვენ კლუბად აღარც გვივარჯიშია, თანაც წელს სინისთვის ექვსიდან ხუთჯერ „თბილისს" ვეთამაშეთ, ამიტომ მათს მორიგ გამოწვევას არა ვლებულობ...ო.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ჩემპ...ონატის გარეშე სინის გათამაშების მექანიზმი ჯერაც დასახვეწია. სამომავლოდ უთუოდ დასადგენი და გ...ოსა/გზადებელია გამოწვევის უკიდურესი ვადებიც, ამ კონკრეტული შემთხვევის გამო კი ვიტყვით, რო... უჯობესი იქნებოდა, „თბილისს" თავისი განზრახვა გაემჟღავნებინა ამ ერთი თვის წინ და არა ახლა, როცა სინის მფლობელის მოთამაშეთა მეტი წილი ჰოლანდიიდან ...შის ...ამარცხებული დაბრუნდა.

ისე კი, თუ მეტოქენიც ყაბულს იქნებიან, წინ რა დაგვიდგება, წლევანდელის დარად საგაისო სეზონიც სინის გათამა... ით რომ გავხსნათ — თუნდაც ოთხშაბათს, 3 აპრილს.

## აქეთური, იქეთური

ჰოკით ხტომის ქალთა მსოფლიო რეკორდი თანდათან უმჯობესდება. ჩეხ ქალ დანიელა ბარტოვას ესტაფეტა სხვებმა ჩამოართვეს. 4 ნოემბერს ჯერ ჩინელი სუნ კაი უნი ახტა 423 სანტიმეტრზე, 30 ნოემბერს კი ავსტრალიელმა ანა ჯორჯმა მელბურნში 425 დაძლია.

*

პაკისტანელმა მესქვოშე ჯანშირ ხანმა კარიერის 71-ე ტიტული მოიგო დოჰაში (ყატარი), სადაც მან შაბათს, საერთაშორისო ტურნირის ფინალში 15:4, 15:9, 17:16 დაამარცხა მსოფლიოს მეორე ჩოგანი როდნი აილსი (ავსტრალია).

*

კვირასვე სინგაპურში დასრულდა ბადმინტონის „გრან-პრის" ფინალი. ვაჟთა ფინალში იოკო სუპრიანტომ (ინდონეზია) 15:3, 6:15, 15:6 დაამარცხა თანამემამულე არდი ვარანატა, ქალთა ფინალში კი იჟაო ინმა (ჩინეთი) 12:10, 8:11, 11:8 აჯობა გაშვედებულ ჩინელ ლიმშაო ჩინს.

*

სან-სითიში (სამხრეთი აფრიკა) გოლფის უმდიდრესი შეჯიბრი მოიგო 36 წლის კალიფორნიელმა კორი პეივინმა, ვინაც ბოლო, მეოთხე წრეში გზა სარეკორდოდ ცოტა, 66 დარტყმით გალია. აშშ-ის წლევანდელი ღია ჩემპიონატის გამარჯვებულის შედეგი ოთხგზის ნორმას ერთბაშად 12 დარტყმით სჯობდა. პეივინს ჰონორარად ერთი მილიონი დოლარი ერგო. მსოფლიოს მეორე მეგოლფე, ზიმბაბველი ნიკ პრაისი პეივინს 5 დარტყმით ჩამორჩა, მაგრამ მეორე ადგილზე გასვლისთვის სარგო 250 ათასი მაინც მიითვალა.

*

ფუკუოკას (იაპონია) მარათონი კვირას მოიგო მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა, ბრაზილიელმა ლუიშ ანტონიუ დუშ სანტუშმა. მისი დროა 2:09.30.

*

ნბა-ში ისევ ჩაიშალა ასოციაციის მამებისა და მსაჯების მოლაპარაკება. არბიტრები წელს 18,6 პროცენტით ითხოვენ გასამრჯელოს გაზრდას, 2000 წლისთვის — 60 პროცენტით, მათი დამქირავებლები კი უარს არიან და ჯერჯერობით სახელდახელოდ შეკრებილი მსაჯებითაც იოლად გადიან ფონს.

*

იამაიკაზე განუსაზღვრელი ვადით გადაიდო რაგინდარა დონის ფეხბურთი. მაყურებლებიცა და მოთამაშეებიც თურმე ისე გაეჩვივნენ მსაჯების ტყეპას, რომ ესენი გაიფიცნენ.

*

განსვენებული ჯიმი გარსიას მცემელმა გაბრიელ რუელასმა პარასკევს მესამედ დაცვისას დაკარგა კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით ერთ-ერთი მსუბუქი წონის ჩემპიონის ტიტული. რუელასი მეხუთე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა განელმა აზუმა ნელსონმა, ვისაც რუელასი 1993 წელსაც გაულახავს, როცა თავად ჩემპიონი ყოფილა.

*

ამ ერთი თვის წინ ავსტრალიის დიდი პრიზის დროს მძიმედ დაშავებული ფინელი ავტომრბოლი მიკა ჰაკინენი მალე გამოეწერება ადელაიდის ჰოსპიტალიდან. მიკამ შაბათს ინტერვიუში ისიც შენიშნა, სარბიელს კი დავუბრუნდები, მაგრამ უმძიმესი ტვინის შერყევის გართულებისა მაინც მეშინიაო.

## აბდა-უბდა

**კვირას**, რიოში, კოპაკაბანას პლაჟზე, მოკლე აუზში ცურვის მსოფლიო ჩემპიონატზე 50 მეტრზე რაგინდარა სტილით შეჯიბრი უცნობმა ვენესუელელმა ფრანსისკო სანჩესმა რომ მოიგო, ორგანიზატორები შავ დღეში ჩაცვივდნენ, ვინაიდან გამარჯვებულის ქვეყნის ჰიმნის ჩანაწერი არ აღმოაჩნდათ. როგორც ასეთ დროს ხშირად მომხდარა, ჩემპიონის სადიდებლად ისევ და ისევ თანაგუნდელებმა იმღერეს.

**მსოფლიოს** პირველი მეგოლფე, ავსტრალიელი გრეგ ნორმანი ერთბაშად 11 დარტყმით ჩამორჩა მისივე სახელობის ტურნირის გამარჯვებულ კრეგ პერის. ნორმანის მიერ მოწყობილი შეჯიბრი კვირას დასრულდა მისსავე მშობლიურ სიდნეიში.

**კოლუმბიაში** ბოლო ორი კვირის მანძილზე მეორედაც მოკლეს ფეხბურთელი, ამჯერად ვინმე ფერნანდესი. ეჭვობენ, რომ ესეც ნარკომაფიის ნახელავია.

**მექსიკელ** მოკრივე ხუსტო სანჩესს კვირას ბელფასტში უნდა ეკრივა, მაგრამ წინა დღით ქუჩაში გაძარცვეს და ისეც მიბეგვეს, რომ რინგზე გასვლა აღარ ისურვა.

**ამას წინათ** ჩვენმა ვეტერანმა მორაგბეებმა გაითამაშეს ე.წ. ხსოვნის თასი, რომელზეც განსვენებულ ოვალური ბურთის ოსტატთა გვარებია ამოტვიფრული. მავან სალსალამათ ბებერ ხარს შეუჩივლია მატჩის ორგანიზატორებისათვის, ყველა კარგ საქმეში მაინცდამაინც მე როგორ უნდა გამომტოვოთ, ნეტავ ჩემი გვარი რატომ არ წაგიწერიათ თასისთვისო.

**ბრაზილიის** უცნობილესმა საფეხბურთო კლუბმა „ფლამენგომ", შემადგენლობაში რომარიო, ედმუნდო და სავიო რომა ჰყავს, კარგ მწვრთნელს ფეხბურთის სპეციალისტებში რომ ვერ მიაგნო, გუნდის დამოძღვრა რადიოკომენტატორ ვაშინგტონ როდრიგესს ჩააბარა. ამგვარი პარადოქსი მთლად ახალი ხილი ვერაა ბრაზილიისათვის, რაკი ჟოან სალდანია, ვინაც ნაკრები 1970 წლის მსოფლიო პირველობის დასკვნით სტადიაზე გაიყვანა, აგრეთვე ჟურნალისტი ყოფილა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29